პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 81 (20422) პარასკევი, 7 აპრილი, 1989 წელი. ფასი 3 კაპ.

## დღის ნომერში

⊙ ერთ დროს ბარაქით განთქმული ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის საბჭოთა მეურნეობა ჩამორჩა. რატომ? ამის თაობაზე მკითხველს ესაუბრება „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი გივი თედეევი („ხალხს და მიწას კარგი პატრონი უნდა“).

⊙ წლეულს 8 იანვარს „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი „ლემშვენიერა ელის დახმარებას“, იმის შესახებ, რომ ჯანდარის ისტორიულ ველზე კიდევ ერთი ქართული სოფელი გაშენდა სტიქიით დაზარალებული სვანი ლტოლვილებისთვის. იქვე გამოთქმული იყო შენიშვნები გარდაბნის რაიკავშირის გამგეობისა და მისი საზოგადოებრივი კვების გაერთიანების მიმართ. გარდაბნელმა კოოპერატორებმა სამართლიან კრიტიკას პატივი არ სცეს... („მოჩვენებითობა“).

⊙ ამ ბოლო ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა თბილისის მოსახლეობა. ქალაქის ინფრასტრუქტურაზე უარყოფითად მოქმედებს არასასურველი მოვლენები... („ქალაქი რომ შიგნიდან იზრდებოდეს“).

მე-2 გვ.

⊙ საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი... საჯაროობამ და დემოკრატიამ ბევრი უსამართლოდ მივიწყებული სახელი დაუბრუნა ერს. და აი, კიდევ ერთი — ვახ[illegible] [illegible] გრირებული გამოჩენილი ექიმის, [illegible] მთელი [illegible] შობლის სიყვარულით იყო გამსჭვალული. მკითხველს ვთავაზობთ ვ. ღამბაშიძის მოგონებებს, რომელიც „კომუნისტში“ გამოსაქვეყნებლად მოამზადა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გურამ შარაძემ.

მე-3 გვ.

⊙ თბილისში, მთავრობის სასახლესთან გრძელდება 4 აპრილს დაწყებული მიტინგი („მიტინგი გრძელდება“).

მე-4 გვ.

### პირველი კვარტალის შედეგები

# რა შევძელით, რა — ვერა

დამთავრდა მიმდინარე წლის პირველი სამი თვე. ამ დროის მანძილზე გაწეული მუშაობის ავ-კარგის ანალიზი გვარწმუნებს, რომ საჭიროა ბევრად უფრო მიზანსწრაფულად და პასუხისმგებლობით გაისარჯონ მეორე კვარტალის ამოცანათა გადაწყვეტისათვის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შრომითი კოლექტივები. და ეს სრულიად გასაგებია: დროის ამ მონაკვეთში ხომ მნიშვნელოვანწილად უნდა გაირკვეს, თუ რა პოტენციური შესაძლებლობები გაგვაჩნია მიმდინარე წლის დავალებათა უთუო შესრულებისა და მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მხრივ.

ეს ეხება სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას, ფონდუკუგებისა და რენტაბელობის ზრდას, სასურსათო და არასასურსათო სახალხო მოხმარების საქონლის სტაბილურად გამოშვებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული სიახლეების დროულ დანერგვას, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებას. ერთი სიტყვით, რესპუბლიკას, რომელიც მეცამეტე ხუთწლედის დამდეგიდან ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში იმუშავებს, უამრავი საკითხი აქვს მოსაგვარებელი.

როგორი ნიადაგი მოვამზადეთ მეორე კვარტალის მიჯნების დასაძლევად, რა შევძელით და ვერ შევძელით წლის განვლილ მანძილზე?

დავიწყოთ იმით, რომ გაუმჯობესდა შემკვეთისათვის სამრეწველო პროდუქციის ვალდებულებით მიწოდების მაჩვენებელი. შეკვეთები შესრულდა 98,3 პროცენტით, იანვარ-თებერვალთან შედარებით წინსვლა შესამჩნევია, მაგრამ ვერ მივაღწიეთ შარშანდელი იანვარ-მარტის დონეს. ასე რომ მომხდარიყო, უფრო შვებით ამოვისუნთქავდით. 1988 წლის პირველი სამი თვის მონაცემებით მიწოდების ვალდებულება 99,2 პროცენტით შესრულდა.

წლეულს, საანგარიშო პერიოდში, მომხმარებელს 89441 ათასი მანეთის პროდუქცია დავაკელით. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია 305 საწარმომ და გაერთიანებამ. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს მომხმარებლისათვის მთლიანად 19561 ათასი მანეთის, ხოლო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა — 19880 ათასი მანეთის პროდუქციის მიწოდება. დავალიანებული არიან შემკვეთის წინაშე რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სახაგრომრეწვი. პირველი მათგანი დაალალატეს ქუთაისის ბამბის საქსოვმა საწარმოო გაერთიანებამ, ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ, ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებამ, ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკამ, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ. მეორე — ახმეტის, გარდაბნის, ქარელის, სამტრედიის, საგარეჯოს, თიანეთის, ჭიათურის აგროსამრეწველო გაერთიანებებმა. სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები გარკვეულწილად საკონსერვო ქარხნებზე მოდის. ვერ ართმევს თავს საქმეს, აგრეთვე „ბორჯომის“ საწარმოო გაერთიანება.

ვერ უძლებს კრიტიკას საშენ მასალათა მრეწველობის მთელი რიგი საწარმოების მუშაობა. მეტეხის საშენ მასალათა კომბინატმა, მაგალითად, პროდუქციის მიწოდების ვალდებულება მხოლოდ 61,4 პროცენტით შეასრულა. ასევე არასახარბიელო მაჩვენებლები აქვთ ამ მხრივ სამტრედიისა და აჯამეთის საშენ მასალათა კომბინატებს, ჩხარის ფილების, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნებს, „საქარმადნეულის“ საწარმოო გაერთიანებას.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის მაჩვენებელმა განვლილ სამ თვეში საშუალო რესპუბლიკურზე მეტი შეადგინა, მაგრამ აქაც ჯერჯერობით დასამშვიდებელი არაფერი აქვთ. უკან ეწევიან საქმეს თბილისის რეზინ-ტექნიკური და ქიმიური ნაწარმის ქარხანა, ჯავის მინერალური წყლების ქარხანა, გორის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება, ახალციხის, ქუთაისის, მახარაძისა და მარნეულის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანებები, ზოგიერთი სხვა საწარმო.

შარშან მთელი წლის განმავლობაში გურჯაანის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება სისტემატურად არღვევდა სახელშეკრულებო დისციპლინას, მაგრამ ჩვენს კრიტიკულ შენიშვნებზე მისი ხელმძღვანელობა საერთოდ არ ახდენდა რეაგირებას. იმედია, ახლა მაინც გვიპასუხებენ გურჯაანელები, თუ რამ შეუშალათ ხელი პირველი კვარტალის მიწოდების ვალდებულების შესრულებაში. ამას ვლაპარაკობთ სხვა იმ საწარმოების ადმინისტრაციის, პარტიული ორგანიზაციების მისამართითაც, რომლებიც არ თვლიან საჭიროდ უპასუხონ ჩვენს რედაქციას შენიშვნებზე.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა აბსოლუტურმა უმეტესობამ მთლიანად გაართვა თავი მომხმარებლისათვის პროდუქციის დროულ გაგზავნას. ზოგიერთმა მათგანმა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კიდეც ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გადაწყვეტილი აქვს წლის დამლევისათვის გაცილებით უკეთეს შედეგს მიაღწიოს.

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანებამ, მაგალითად, მთლიანად შეასრულა პროდუქციის მიწოდების ვალდებულება, აგრეთვე მოგების გეგმა. რეალიზებულია გათვალისწინებულზე 380 ათასი მანეთით მეტი ნაწარმი, დამზადდა ნავარაუდევზე 260 ათასი მანეთით მეტი ნაკეთობანი და ეს მოხდა მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება და ფასიანი მომსახურების გეგმები. საყოფაცხოვრებო მომსახურების მიმართულებით ზრდის ტემპმა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 193,7 პროცენტი შეადგინა. ლიკვიდირებულია არასაწარმოო დანახარჯები, საგრძნობლად შემსუბუქდა საფინანსო მდგომარეობა, 36270 ათასი მანეთით შემცირდა ბანკისათვის გადასახდელი თანხის რაოდენობა. დებიტორული დავალიანებები შემცირდა 1422 ათასი მანეთით, ხოლო ზენორმატიული მარაგი — 861 ათასი მანეთით. განხორციელდა სხვა ტექნიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გაერთიანების გამართულ მუშაობას.

მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაზე. აქ, ისევე როგორც შარშან, ვერ იცავენ სახელშეკრულებო დისციპლინას. სამ თვეში რეალიზებული არ არის 81 ათასი მანეთის პროდუქცია.

პირველ კვარტალში მომხმარებლები არც ჩარხსაშენებელი მრეწველობის ობიექტებს დაუღალატებიათ. ვალდებულება შეასრულა შვიდივე საწარმომ. სამაგიეროდ, დათმეს პოზიციები ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის გორის „დილას“, თბილისის „ანალიზხელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებმა.

„საქსოფლმანქანის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ მომიჯნავეს დააკლო 900 ათასი მანეთის პროდუქცია.

მოგება სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსებაზე მუშაობის ერთ-ერთი გადამწყვეტი მაჩვენებელია. იქ, სადაც თადარიგიანად, ინიციატივიანად ირჯებიან, მაქსიმალურად ეძიებენ გზებს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, მიზანსაც აღწევენ. რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებამ, მაგალითად, მოგების გეგმა 248,8 პროცენტით შეასრულა. ასევე დამაჯერებელი შედეგები აქვთ მადნეულის სამთომამდიდრებელ კომბინატს, წნორის მექანიკურ ქარხანას, ზოგიერთ სხვა საწარმოს.

საერთოდ კი, მოგების გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში ვერ შესრულდა. და ასეთი ვითარება ძირითადად განაპირობა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა არადამაკმაყოფილებელმა მუშაობამ, რადგან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა გაერთიანებებმა, ქარხნებმა, კომბინატებმა, ფაბრიკებმა, სხვა ორგანიზაციებმა მოგების გეგმა მთლიანად გადაჭარბებითაც კი შეასრულეს.

განსაკუთრებით უჭირთ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას, „საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანებას, ქუთაისის ლითოფონის ქარხანას, ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანას, „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებას.

თუმცა პირველ კვარტალში ჩარხსაშენებელი მრეწველობის საწარმოებს შემკვეთები არ დაუღალატებიათ, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა თავი ვერ გაართვა მოგების დავალებას. რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, რომლებსაც მთლიანად ეყრდნობა ეს მიმოხილვა, მოგების გეგმები ჩაშალეს რუსთავის ფოლადთუჯსხმულების, თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნებმა და თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ.

სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების, მისი ასორტიმენტის გაფართოების, ფასიანი მომსახურებისა და ზოგიერთ სხვა საკითხს ცალკე მიმოვიხილავთ, მაგრამ ამჟამად გვერდს ვერ ავუვლით სოფლის მეურნეობას, რომელიც ახლა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა შეიმუშავა აგრარული პოლიტიკა, რომლის რეალიზაციამ უნდა აღორძინოს გლეხი, როგორც მიწის ბატონ-პატრონი, საიმედოდ გადაჭრას სასურსათო პრობლემა. პლენუმზე აღინიშნა, რომ ამ საქმეში შემდგომი დაყოვნება შეუწყნარებელია. სურსათის დეფიციტი ქმნის სოციალურ დაძაბულობას, იწვევს ადამიანთა არა მარტო საყვედურებს, არამედ უკმაყოფილებას. უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე აგრარულმა სექტორმა უხვად მიიღო რესურსები — კაპიტალური დაბანდებებიც, ტექნიკაც და მინერალური სასუქებიც, განხორციელდა მიწების მელიორაციის დიდი პროგრამა. მაგრამ უკუგება, რომელსაც ვვარაუდობდით, მატება, რომელსაც მოველოდით, განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ვერ მივიღეთ.

ეს სამწუხარო ფაქტია და აქედან ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გამოაქვთ დასკვნები. მუშაობა შედარებით გააქტიურდა და იმედია ახლო მომავალში მნიშვნელოვნად მეტს მივაღწევთ. წლის პირველ კვარტალში საგაზაფხულო კულტურები დათესილია 71,8 ათას ჰექტარზე, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდს 88 პროცენტით აღემატება. ბოსტნეული, მაგალითად, დაითესა 11,6 ათას ჰექტარზე, რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს 49 პროცენტით აჭარბებს. საერთოდ, წინსვლაა ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვის მხრივ.

გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის ხორცის, აგრეთვე რძის მიყიდვის გეგმები. ამასთან, კვერცხის დამზადების მხრივ შარშანდელ მაჩვენებელს ექვსი პროცენტით ჩამოვრჩებით.

მაშ ასე, ერთი კვირაა დაიწყო მეორე კვარტალი, რომელმაც ბევრად უნდა განსაზღვროს როგორ დავამთავრებთ მიმდინარე წელს, გადავჭრით ჩვენს წინაშე მდგომ უამრავ ამოცანას. როცა პერსპექტივას ვსახავთ, საჭიროა ყოველმხრივ შევისწავლოთ რეზერვები, გავითვალისწინოთ დადებითი გამოცდილებანი, განვსაზღვროთ მიზანი და მისი მიღწევის გზები. წინ რთული და საინტერესო სამუშაო გველის.

# გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ

„ბარდაქმნის გარდამტეხ ეტაპზე“ — ასე ეწოდება ბროშურას, რომელშიც შევიდა 29 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის ტექსტი. გამოსვლა მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმისა და საარჩევნო კამპანიის შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ბროშურა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით გამოუშვა.

(საქდესი).

# მ. ს. გორბაჩოვი ჰავანიდან ლონდონს გაემგზავრა

ჰავანა, 5 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი კუბის რესპუბლიკაში.

უკვე დილაადრიან ჰავანის ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქუჩებში საბჭოთა სტუმრის გასაცილებლად. მ. ს. გორბაჩოვისა და ფ. კასტროს, საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრების ავტომობილები აეროპორტისაკენ გაემართნენ მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით.

ხოსე მარტის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში აღმართულია საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები. საფრენ მინდორზე ჩამწკრივებულია რევოლუციური შეიარაღებული ძალების მეომართა საპატიო ყარაული.

ჟღერს კუბისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მ. ს. გორბაჩოვი და მისი მეუღლე, საბჭოთა დელეგაციის წევრები თვითმფრინავის კიბესთან გულთბილად ეთხოვებიან ფ. კასტროს, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრს, არმიის გენერალ რაულ კასტროს, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, კუბელ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარეს ვ. ესპინს.

გაცილების ცერემონიაში მონაწილეობდნენ აგრეთვე კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კარლოს რაფაელ როდრიგესი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ხულიო კამაჩო აგილერა.

გამცილებელთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ი. ვ. პეტროვი.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად ლონდონს გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი.



შეხვედრის დროს.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

• • •

ლონდონი, 6 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). 5 აპრილს გვიან საღამოს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. ს. გორბაჩოვს, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა.

ადგილობრივი დროით 23 საათზე ილ-62 მიადგა ჰიტროუს აეროპორტის მთავრობის ტერმინალს. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის ოქმით ესოდენ გვიან გათვალისწინებული არ არის ოფიციალური განცხადებანი, ლონდონის მრავალი მცხოვრები, სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტთა დიდი კორპუსი მოვიდა საზეიმო ცერემონიაზე. თვითმფრინავის კიბესთან მ. ს. გორბაჩოვსა და რ. მ. გორბაჩოვას დახვდნენ დიდი ბრიტანეთის მეფის საგანგებო წარმომადგენელი და მეფის ამალის ლორდი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი და მისი მეუღლე დ. ტეტჩერი. აეროპორტში ჩამწკრივდა სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერთა საპატიო ყარაული და შესრულდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

დღეს კი დილაადრიან უკვე დაიწყო ვიზიტის საქმიანი ნაწილი. მსოფლიოს უდიდესი ტელეკომპანიების, დეპეშათა სააგენტოებისა და გაზეთების სამასამდე წარმომადგენელმა დაიკავა თავისი პოზიციები დაუნინგ სტრიტზე, № 10 სახლში — დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში შესასვლელის წინ. ამ სახლის მრავალწლიან ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ამგვარი მოვლენა — საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის მონაწილეობა მთავრობის მოლაპარაკებაში. რეპორტიორები ხელიდან არ უშვებენ არც ერთ შანსს, იმისათვის, რომ შეავსონ საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობის მატიანე, რომელიც ამ ბოლო წლებში ახალ თვისებრიობასა და დინამიზმს იძენს.

რეზიდენციაში შესასვლელთან მ. ს. გორბაჩოვს დახვდა მ. ტეტჩერი. მათ გაიარეს ბუხრის დარბაზი, სურათი გადაიღეს სამახსოვროდ და შევიდნენ პრემიერ-მინისტრის კაბინეტში ოფიციალური მოლაპარაკებისათვის. შემდეგ გაიმართა საბჭოთა კავშირ-ინგლისის დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონია. მათ ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ე. ა. შევარდნაძემ და ჯ. ჰაუმ.

ლონდონში საბჭოთა ხელმძღვანელის მოგზაურობის პროგრამაშია ვესტმინსტერის სააბატო — ინგლისის დედაქალაქის ძველი კულტურის, განუმეორებელი ოაზისი. მისი სათავეების პატივისცემის ნიშნად მ. ს. გორბაჩოვი აქ მოვიდა შუადღისას. იგი შეჩერდა უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, ქედი მოიხარა ინგლისელების — იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც დაიღუპა პირველი მსოფლიო ომის ბრძოლის ველზე, და იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც საბჭოთა მეომრებთან ერთად ათავისუფლებდა ევროპას ფაშიზმისაგან მეორე მსოფლიო ომის სახმელეთო და საზღვაო ბრძოლებში. მ. ს. გორბაჩოვმა გვირგვინით შეამკო საფლავი და ხელი მოაწერა საპატიო სტუმართა წიგნში.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მიიღეს „კეის კომუნიკეიშნზის“ ფირმის ინჟინრებმა და მუშებმა, ინგლისის ეს დიდი საწარმო საბჭოთა კავშირში ცნობილია როგორც კავშირგაბმულობის, ზღვაოსნობის, ჯანმრთელობის დაცვის დარგებში საინფორმაციო უზრუნველყოფის თანამედროვე აპარატურის მიმწოდებელი. საწარმოს მუშებმა მ. ს. გორბაჩოვთან საუბრებში განაცხადეს, რომ კმაყოფილი არიან ორი ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრული კონტაქტების განმტკიცებით.

ლონდონის შეხვედრას მიესალმება დიდი ბრიტანეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა უმრავლესობა. მრავალმა მათგანმა გამოიჩინა ინტერესი საბჭოთა ხელმძღვანელთან შეხვედრისადმი, რომელიც მოეწყო საღამოს ლანკასტერ-ჰაუსში. გაიმართა გულითადი საუბარი დიდი ბრიტანეთის მრეწველებსა და საბჭოთა საწარმოებს შორის კავშირურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობათა შესახებ.

საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტის პირველი სამუშაო დღის დასასრულს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა თავის რეზიდენციაში ოფიციალური სადილი გაუმართა მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს. აქ სიტყვები წარმოთქვეს მ. ტეტჩერმა და მ. ს. გორბაჩოვმა.

თორმეტ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა ვიზიტის პირველი სამუშაო დღე. ინგლისის ტელეკომპანიები აწყობდნენ დღის მრავალი მოვლენის პირდაპირ რეპორტაჟს, ცხოვლად განმარტავდნენ საოქმო ღონისძიებებსაც და ლონდონის მცხოვრებლებთან გულითად შეხვედრებსაც. მათ შეფასებებში ჭარბობს აზრი, რომ ლონდონის შეხვედრას უკვე მოჰყვა რეალური, საგრძნობი შედეგები. სსრ კავშირ-დიდი ბრიტანეთის დიალოგი გრძელდება.

ნ. ჟელეზნოვი,
ი. ლევჩენკო,
ვ. ჩუქსეევი,
გ. შიშკინი.

# საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

6 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ბ. ვ. ადლეიბა გაათავისუფლა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ვლადიმერ ფილიპეს ძე ხიშბა, რომელიც საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მუშაობდა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგის მოადგილე, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ქვეგანყოფილების გამგე ვ. ა. მიხაილოვი.

(საქინფორმი).

### ხუთწლედის შრომითი რიტმი

# მეურნეობრიობის ახალი ფორმების ეფექტიანობა



„საქსოფლელექტროქსელმშენის“ ტრესტის მარნეულის რკინაბეტონის კონსტრუქციათა ქარხნის კოლექტივი, რომელმაც უარი თქვა მუშაობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სტილზე, გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე. მეურნეობრიობის საიჯარო ფორმების დანერგვამ საშუალება მისცა მას გაეზარდა შრომის ნაყოფიერება, დაეჩქარებინა წარმოების ტემპი. მუშათა შრომის ანაზღაურების მთავარი კრიტერიუმი გახდა საბოლოო შედეგი. ახლა აქ გამოშვებული ელექტროგადამცემი ხაზების ვიბრირებული საყრდენები, რკინაბეტონის კონსტრუქციები გამოირჩევა საიმედოობით, სიმტკიცითა და მაღალი ხარისხით.

ბევრ სიკეთეს პირდება მათ დაწყებული რეკონსტრუქცია. ვადაგასული აგრეგატები იცვლება მაღალმწარმოებლური მოწყობილობით, ითვისებენ ახალ სიმძლავრეებს. ყოველივე ეს შრომის პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

მეურნეობრიობის ახალმა ფორმებმა კოლექტივს საშუალება მისცა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოცკულტყოფის საკითხებისათვის. დაიწყო ქარხნის მუშაკებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.



სურათებზე: მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი, კომუნისტი ორუჯ ორუჯევი; ქარხანაში მიღებული ლითონის გადმოტვირთვა.

საქინფორმის ფოტო.

ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

# ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ

**ᲔᲠᲗ** დროს სიუხვით განთქმული ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის საბჭოთა მეურნეობა ჩამორჩა. რატომ? უძრაობის პერიოდში მოიშალა პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობა. გამკითხავი კი, სამწუხაროდ, არავინ ჰყავდა პროტექციით, მეგობარ-ნათესაობით დაწინაურებულ დირექტორებს, წამყვან სპეციალისტებს. ნაკლები იყო დახმარების ხელი და ხელმძღვანელობა ზემოდან. თუმცა იმას ვერ ვიტყვით, რომ აკლდათ პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროსა თუ რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე მათი მუშაობის ამა თუ იმ საკითხის გატანა და განხილვა, რაც სამწუხაროდ, ალბათ ოქმისთვის უფრო კეთდებოდა და მდგომარეობაც თანდათან უარესდებოდა.

მერე მოიძებნა გამოსავალი — გაღატაკებული მეურნეობა რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის" შემადგენლობაში შევიდა და ცოტა ამოისუნთქეს. ნელ-ნელა იწყეს ვალების დაფარვა. შემდეგ გარდაქმნის პერიოდი ჩამოდგა და მომავლის იმედით ჩაება ხალხი სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში. დაიწყო ფიქრი და ზრუნვა სოციალური საკითხების მოსაგვარებლადაც.

ამ დროს დირექტორად დააწინაურეს მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი თეიმურაზ დოგუზოვი. რა გაკეთდა მისი მუშაობის პერიოდში, რა უშლიდათ ხელს წინსვლაში? ამ საკითხების ირგვლივ იმსჯელეს წლეულს საანგარიშო კრებაზე ხეთაგუროველებმა, რომელთა წინაშე მოხსენებით წარსდგა მეურნეობის მთავარი აგრონომი, სარქის მელქოევი. რატომ ის, და არა დირექტორიო, იტყვით.

საქმე ის არის, რომ პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროსა და რაიონული საბჭოს აღმასკომის ერთობლივი დადგენილებით დირექტორი სამუშაოდან გაათავისუფლეს. თუმცა ამის თაობაზე სათანადო ბრძანება არ დაწერილა. როცა ცხინვალის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ჩოჩიევმა შეკრებილთ გააცნო აღნიშნული დადგენილება, რომლითაც თეიმურაზ დოგუზოვს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის დაედო პარტიული სასჯელი — გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით და გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, დარბაზი აზმაურდა:

— არა, ჩვენ სხვა დირექტორი არ გვინდა!

— რა დააშავა?

— თუ სხვა გინდათ, არჩევნები ჩაატარეთ, ოღონდ დოგუზოვის კანდიდატურაც დატოვეთ!

რამდენად საფუძვლიანი იყო ეს წამოძახილები? იქნებ ვინმეს დირექტორის ჯინი ჰქირს, იქნებ უსაფუძვლოა რაიონული ორგანოების გადაწყვეტილება? გავშიფროთ იგი, ვთქვათ სათქმელი, მით უმეტეს, რომ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა და ამით თითქმის დაუპირისპირდა ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

საქმე ის არის, რომ კრების მონაწილენი აყვნენ ემოციებს, გონების სიღრმით არ განსაჯეს, შეეძლოთ თუ არა მეტის გაკეთება. რა თქმა უნდა, კარგი ორგანიზატორის ხელში მეურნეობაში გარდატეხა უნდა მომხდარიყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მას პარტიის რაიონული კომიტეტის, რაისაბჭოს აღმასკომის მხრივ არ ჰქონდა სათანადო მხარდაჭერა და დახმარება. ეს იმაშიც გამოიხატება, რომ, როგორც კრებაზე აღინიშნა, მეურნეობის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტები მოვლენებს მიღმა იდგნენ, არ ზრუნავდნენ ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობის გაშლისათვის და ახლა ეჭვობენ, დირექტორს მეხილე მოიჯარეებთან სუბიექტური დამოკიდებულება აქვს და ხელშეკრულება უნდა გაუქმდესო.

არ არიან მართლები, წესდება დაცულია, ხელშეკრულების გაფორმებისას დარღვევებს არ ჰქონია ადგილი. სოფელში არავინ ისურვა იჯარით აეღო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ხილის ბაღი. და აი, შარშან გაზაფხულზე, ცხინვალიდან (ხეთაგუროვის მეურნეობა ქალაქის მოსაზღვრეა) მოვიდა ხუთი მოქალაქე (ორი მეურნეობის ყოფილი წევრი) და ივალდებულა 13 ჰექტარი ხეხილის ფართობის მოვლა-პატრონობა.

მართლაც კარგი მოსავალი მოიყვანეს. ჰექტარიდან 69 ცენტნერი ხარისხოვანი ვაშლი მიიღეს, რომელიც მთლიანად შეიტანეს მეურნეობის საწყობში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე გადამეტებით მოყვანილი 16 ტონა ვაშლი კი თავად გაინაწილეს, ამას დაემატა შრომის საფასური 23 ათასი მანეთი. მეურნეობამ კი 801 მანეთი მოგება მიიღო.

მოიჯარეთა ასეთმა შედეგებმა აალაპარაკა სოფელი. ბევრს შეშურდა — მეურნეობას ასე ცოტა, არენდატორებს კი ამდენიო. მერედა ვინ არიან ისინი, ნაციხრებიო, ესაო, ისაო. გაილაშქრეს მოიჯარეთა წინააღმდეგ და „შეცდომის" გასწორება და ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვეს. მათ მიღებული თანხა უნდა დაეკავოთ, ხილი კი რაიონის დამამზადებელ ორგანიზაციას უნდა ჩაბარდესო. აქ კი ველარ მოითმინეს მოიჯარეებმა — ხილი ჩვენ მოვიყვანეთ, ავდგებით და საკავშირო ფონდში გადავტვირთავთ, იქიდან კი აქაურ ფასებთან შედარებით კილოგრამში 10-12 კაპიკით მეტს მივიღებთო.

ასეც მოიქცნენ. მაგრამ ახლა რა ქნას დირექტორმა, როგორ გააუქმოს კანონიერი ხელშეკრულება? ანდა, ვინ აუკრძალა ნასამართლევს (ისინი ბრიგადაში ორნი არიან) მიწის მუშად მუშაობა? პირიქით, კანონი ნასამართლევი კაცის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმას მოითხოვს. შეშინებული, დასჯილი დირექტორი კი მოიჯარეებს გასამრჯელოს მთლიანად გადახდაზეც უარს ეუბნება და ბაღებში მუშაობაზეც. მათ მხოლოდ სასუქების შეტანა მოასწრეს. ახლა უკვე საჭიროა მცენარის გასხვლა, შტამბების შეთეთრება-შეწამვლა...

არადა, მართებდათ მოიჯარეთათვის ხელშეწყობა, რადგან მათი შრომის შედეგი საუკეთესო მაგალითია სხვებისათვის. მათდამი ასეთი დამოკიდებულება და დევნა ბევრს გაუტეხს გულს, ხეთაგუროველებს ძალზე გაუძნელდებათ კიდევ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში საკუთარი წვლილის შეტანა. აკი, ჯერჯერობით ასეც ხდება: დანარჩენი 97 ჰექტარი ხეხილის ბაღის იჯარით აღების სურვილიც არავის გამოუთქვამს. მეურნეობას კი არ ყოფნის ძალები. შარშან მებაღეობამ იგი 25 ათასი მანეთით აზარალა. მოიჯარეებმა კი მაინც მოგება მისცეს. მეხილეობა და ზარალი? მიზეზები არ ელევათ, ხან უამინდობა, ხან მიწის უვარგისობა (?!). სინამდვილეში კი მთავარი ის არის, რომ მას სათანადოდ არ ამუშავებენ, არ იცავენ აგროტექნიკას, უხარისხოდ რწყავენ, ირღვევა ხილის კრეფის დრო და ტექნოლოგია. იჯარული წესით მუშაობაზე და მის სიკეთეზე რომ სათანადო ახსნა-განმარტებითი საუბრები გაემართათ, მთელი მეურნეობა წლეულს ახალი მეთოდით იმუშავებდა.

როგორც ზემოთ ვთქვით, გავშიფროთ დადგენილება. აქვს თუ არა საფუძველი დირექტორს განაწყენებული იყოს? მართალია, როცა ამბობს: რაიონში ჩვენს მეურნეობაზე უარესი მაჩვენებლები სხვებს აქვთო, მაგრამ ეს ხომ არ ამართლებს მას. მეტი გამჭრიახობა და ზრუნვა უნდა გამოეჩინა. კაცმა მოწინავეებს უნდა მიბაძოს და არა ჩამორჩენილებს.

ვნახოთ, რა მდგომარეობაა მეცხოველეობაში. მართალია, მან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმები სავალალო მდგომარეობაში მიიღო, მაგრამ პირობების გასაუმჯობესებლად არ ეყო ძალები. ერთადერთი, რაზეც ხალხმა კმაყოფილება გამოთქვა კრებაზე, ის იყო, რომ დირექტორმა გამოიჩინა გამბედაობა, ხმა აიმაღლა, ამხილა პირუტყვის ბრუცელოზით დაავადების ფაქტები, მანამდე კი დუმდნენ და ეპიდემიამ ფერმებში ჯოგი გაანახევრა. და, საერთოდ, მეცხოველეობით მიყენებულმა ზარალმა ათიათასობით მანეთი შეადგინა. მელორეობაშიც ძალიან ჩამორჩნენ.

მეურნეობა ძირითადად მეთესლეობის მიმართულებისაა. მთელი ყურადღება აქეთკენ იყო მიმართული, მაგრამ სასურველ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. ძვირი დაჯდა მრავალწლიანი ბალახების თესლებისა და თავთავიანი მარცვლეულის თესლის წარმოება. მხოლოდ ლობიოს თესლის მოყვანის დავალება შესრულდა გადაჭარბებით — ჰექტარიდან გეგმით გათვალისწინებულზე 3 ცენტნერით მეტი მიიღეს.

ჩამორჩნენ ჰიბრიდული სიმინდის მოყვანაში. ისე გააჭიანურეს მისი მოსავლის აღება, რომ დეკემბრის ბოლომდე ვერ დაამთავრეს. საუცხოო ჯიშის სიმინდის თესლი სამ ჰექტარზე დარჩა აუღებელი. ესეც ჭირვეულ ამინდებს დააბრალეს. სინამდვილეში კი ეს იმან განაპირობა, რომ მექანიზატორთა შორის ვერ შეძლეს სათანადო დისციპლინის დამყარება. მარცვლის აღების პერიოდი რომ დადგა, მაშინღა დაიწყეს კომბაინების რემონტი. ვერ შოულობდნენ სათადარიგო ნაწილებს და უსიამოვნო შედეგმაც არ დააყოვნა. საერთოდ, მეურნეობაში მთელი დატვირთვით ვერ იყენებენ ტექნიკას. ამის გამო მექანიზატორთა ხელფასი დაბალია.

დირექცია ნაკლებად ზრუნავდა სოფლად მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ხეთაგუროვში, ტბეთში, ხოდში და სხვა დასახლებულ ადგილებში 1750 კაცი ცხოვრობს. მათ არ ყოფნით სასმელი წყალი, არ აქვთ გაზი, კლუბები, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, გზები შეუკეთებელია. უკვე ორი წელია 32 ოჯახი შესახლდა ტბეთში აგებულ ბინებში, მაგრამ დღემდე არა აქვთ წყალი და გათბობა. მთლიანად მიიძინა მხატვრულმა თვითმოქმედებამ. ყველაფერს გამრჯე ხელი სჭირდება, ხალხსა და მიწას კარგი პატრონი უნდა.

საჭიროა პარტიულ-პოლიტიკური აზროვნების გარდაქმნა-გააქტიურება, მასების დარაზმვა. დირექტორის გათავისუფლება ადვილია, საამისო ფაქტები შედარებით იოლად მოიძებნება, მაგრამ ძნელია მხარში დგომა. თანამედროვე ხელმძღვანელმა სიმართლის კვერთხი უნდა მოიმარჯვოს, მოვლენების, ფაქტების გაანალიზება უნდა შეძლოს.

კრებიდან გამომყვა ფიქრები იმაზე, თუ რატომ უჭერდა ხალხი მოხსნილ დირექტორს მხარს? და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მის ხელში ცოტა მოშვებულები იყვნენ, მისი ხათრიანობით სარგებლობდნენ...

მაგრამ ახლა მთავარი საფიქრალი ის არის, შეძლებენ კი ხეთაგურელები მცირე თანხით (მოგება 170 ათასი მანეთი მიიღეს, საგეგმოზე ორჯერ ნაკლები) ახალი სამეურნეო ანგარიშით, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობას? ჯერ ამ მხრივ მოსამზადებელ მუშაობასაც არ შედგომიან. მხოლოდ სიტყვიერად ამბობენ — წლეულს ახალ სამეურნეო ანგარიშზე ვიმუშავებთო. მაგრამ როგორ? როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც ითქვა, მხოლოდ იჯარული შრომის ფართოდ გაშლაა სოფლად მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ამისათვის მეურნეობის ხელმძღვანელობასთან ერთად (მაგრამ სადღაა სრულყოფილი ხელმძღვანელობა: ორ თვეზე მეტია მეურნეობას დირექტორი არა ჰყავს) უნდა იზრუნონ ცხინვალის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა.

**ᲑᲘᲕᲘ ᲗᲔᲓᲔᲔᲕᲘ,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

[illegible]



# ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲖᲐᲛᲗᲠᲔᲑᲡ

**ᲛᲢᲙᲘᲪᲔ** საკვებმა ბაზამ უზრუნველყო ის, რომ ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვი წარმატებით იზამთრებს. აქ ორასზე მეტი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ. წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.100 კილოგრამის ნაცვლად მეცხოველეებმა 93 საფურაჟე ძროხიდან თითოეულზე 2.500 კილოგრამი რძე მიიღეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ბრეთის საბჭოთა მეურნეობის მერძეულ-მეხორცული ფერმის გამგე მერი მარგიშვილი.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტო.





# ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲨᲘ

**ᲥᲐᲠᲗᲚᲘ** რესპუბლიკის მთავარი ხეხილის ბაღი, ხურნელოვანი ნაყოფის ძირითადი მიმწოდებელია. მარტო გორის რაიონში ხეხილის ბაღები გადაჭიმულია 15.858 ჰექტარზე, აქედან 12.772 მსხმოიარეა. მზრუნველი მოვლა, აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროული განხორციელება მებაღეებს საშუალებას მისცემს მოიწიონ უხვი მოსავალი. ახლა ისინი შეუდგნენ ხეების მინერალური ზეთებით მკურნალობას.

საგაზაფხულო სამუშაოებში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ტყვიავის, ვარიანის, კარალეთის, შავშვების, ტირძნისისა და სხვა მეურნეობათა მშრომელებმა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ჯობინაშვილი და საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი გია კაიდარაშვილი ამოწმებენ ბაღების მკურნალობის ხარისხს; ხეხილის ბაღების მკურნალობა ტირძნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტო.

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ

**ამ ბოლო ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობა. თვით ამ ფაქტმა თითქოს ოპტიმიზმი უნდა გამოიწვიოს, რომ არა ერთი არსებითი „მაგრამ"... როგორც სტატისტიკოსები ამბობენ, ხდება მექანიკური ზრდა. იგი იწვევს მთელ რიგ არასასურველ მოვლენებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ქალაქის ინფრასტრუქტურაზე.**

**რა კეთდება რეალურად ამ პროცესის რეგულირებისათვის? ამ კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲫᲔᲡ.**

— თბილისის მოსახლეობის მექანიკური ზრდის პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა 80-იანი წლების დამდეგს, — ამბობს პატივცემული ირაკლი. — აქ რამდენიმე მიზეზია. მაგრამ ყველაზე სერიოზული ის არის, რომელიც უკავშირდება რესპუბლიკის დიდ ქალაქებში, მათ შორის ჩვენს დედაქალაქშიც, სოფლიდან მოსახლეობის დენას.

ამ ბოლო ხანებამდე საწარმოთა და ორგანიზაციათა მრავალი ხელმძღვანელი საწარმოო ამოცანებს წყვეტდა არა თავისი კოლექტივების შესაძლებლობებით, არამედ სამუშაოზე გარედან მიღებულთა რიცხვით. მაგალითად, მარტო 1986 წელს თბილისის მოსახლეობას მექანიკურად შეემატა 8 ათასზე მეტი კაცი. დიახ, ეს ციფრი ნურავის ნუ მოეჩვენება არაარსებითად, რესპუბლიკის დედაქალაქში საცხოვრებლად ჩამოსული თითოეული კაცი ხომ — ეს არის საბინაო პრობლემის გამწვავება, კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების დამატებითი ამოცანების გადაწყვეტა... ქალაქში ისედაც 57 ათასი ოჯახი მრავალი წელია ელის ბინას. საჭირო იყო დაუყოვნებლივ შეგვეჩერებინა ეს პროცესი, თორემ ჩვენი დაპირებანი, რომ თითოეულ თბილისელს უზრუნველვყოფთ ბინით ამ საუკუნის დამლევამდე, ისევე როგორც საქალაქო საბჭოს სპეციალური სესიის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საბინაო მშენებლობის პროგრამა, ქაღალდზე დარჩებოდა.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განახორციელა ღონისძიებანი საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებისა და დედაქალაქის მოსახლეობის მექანიკური ზრდის რეგულირებისათვის. ქალაქის ათსავე რაიონში მოეწყო კომპლექსური შემოწმება, რომელმაც კანონის მრავალი დარღვევა გამოავლინა. მათს აღსაკვეთად გააქტიურდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის მუშაობა. რაიაღმასკომებთან შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც წინასწარ სწავლობენ მოქალაქეთა მიმართვებს ჩაწერის საკითხებზე და წარუდგენენ თავიანთ მოსაზრებას რაიაღმასკომს.

**— შესძელით თუ არა აღგეკვეთათ თბილისში უკანონო ჩაწერის შემთხვევები?**

— საბოლოო შედეგებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ადრეა. წესრიგის დასამყარებლად მივმართეთ მკაცრ ღონისძიებებს. შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, რომლებიც პასუხს აგებენ საპასპორტო რეჟიმის და ლენინის, ოქტომბრის რაიონებში მოქალაქეთა ჩაწერის წესების დაცვისათვის, გაათავისუფლეს თანამდებობიდან. სხვადასხვა სასჯელი დაედოთ ქალაქის სხვა რაიონებში შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების საპასპორტო განყოფილებების ხელმძღვანელებს, განახლდა ამ სამსახურების შემადგენლობა.

მექანიკური ზრდა რამდენადმე მცირდება. 1987 წელს 1986 წელთან შედარებით იგი ორი ათასით შემცირდა, შარშან კიდევ ათასით. ციფრები დიდი არ არის, მაგრამ მთავარია თვით ტენდენცია.

**— შარშან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქეთა ჩაწერის და შემდეგ თბილისში მათი შრომითი მოწყობისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში საწარმოებისაგან თავისებური „გადასახადის" შემოღების შესახებ...**

— დიახ, ასეთი შენატანი განისაზღვრა 18 ათასი მანეთის ოდენობით. ეს დედაქალაქში ერთი ადამიანის ცხოვრების საორიენტაციო „ფასია". ახალი წესის მოქმედების დაწყებიდან ცხრა თვეში მხოლოდ ექვსმა საწარმომ და ორგანიზაციამ გაიღო ფული. ეს გასაგებიც არის — სამეურნეო ანგარიშის პირობებში თითოეული კაპიკი აღრიცხვაზეა.

სამწუხაროდ, დარჩა თბილისში მოსახლეობის უკონტროლო მოდინების სხვა არხები. ყველაზე მეტად გვაღელვებს უკანონო ჩაწერის ფაქტები, რომელიც ფორმდება... კანონიერ საფუძველზე. მხედველობაში მაქვს ფიქციური ქორწინებანი. ჩვენ ვთხოვეთ იურისტებს გამოენახათ შესაძლებლობა ამ ხვრელის გადასაკეტად. საკითხი მუშავდება.

**— პატივცემულო ირაკლი, რა ღონისძიებებს არ მივმართავთ ხოლმე მიგრაციული პროცესების შესაჩერებლად. ამავე დროს ისმება კითხვა, იქნებ სჯობდეს უარი ვთქვათ ჩაწერის სისტემაზე?**

— ამ წინადადებას ზოგან უკვე მხარს უჭერენ ქვეყანაში, მაგრამ სანამ საკმაოდ მწვავედ დგას საბინაო პრობლემა, ჩაწერის გაუქმება შესაძლებლად არ მიმაჩნია. ამიტომ, იმისათვის, რომ გადავდგათ მორიგი ნაბიჯი გარდაქმნის გზაზე, საჭიროა ვისარგებლოთ დემოკრატიზაციის შესაძლებლობებით და უფრო სწრაფად გადავჭრათ პირველი რიგის სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. მხოლოდ მაშინ შეიქმნება რეალური საფუძვლები საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევისათვის.

# ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲘᲯᲐᲠᲐᲓ

● **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ.** („კომუნისტის" საკ. კორ.). რუსთავის სტამბის თანამშრომლები თავიანთი საწარმოს სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები გახდნენ. მათი უფლებები განამტკიცა რესპუბლიკის გამსახკომთან დადებულმა სანარდო იჯარის ხელშეკრულებამ.

— დარგში პირველები გადავედით რესპუბლიკაში მეურნეობრიობის ახალ ფორმაზე, — თქვა სტამბის დირექტორმა ტარიელ ფოჩხიძემ, — ჩვენი საწარმო, მართალია, დიდი ხნის აგებული არ არის, მაგრამ მოწყობილობა საკმაოდ მოძველებულია, არც საწარმოო ფართობია საკმარისი, და ახალი მაღალმწარმოებლური მოწყობილობების დადგმის საშუალება არა გვაქვს. ძირითადი რეზერვია შრომის ახალი ორგანიზაცია, შიდასამეურნეო ანგარიში. ხელშეკრულებამ შეცვალა ჩვენი დამოკიდებულება გამსახკომთან. თუ წინათ იგი სრულად ახორციელებდა ხელმძღვანელობას, კონტროლსა და შემოსავლების განაწილებას, ახლა არსებითად პარტნიორობის პრინციპით ვმოქმედებთ. სტამბა ვალდებულია უზრუნველყოს გეგმის შესრულება სახელმწიფო შეკვეთების საფუძველზე, აამაღლოს პროდუქციის ხარისხი, გადარიცხოს სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტში. გამსახკომი კი გვამარაგებს ნედლეულით, მასალებით, მოწყობილობით, დაგვეხმარება კადრების მომზადებაში.

მთავარი მაინც ის არის, რომ ახალ პირობებში სტამბამ უარი თქვა მიღებული სახსრების ნორმატიულ განაწილებაზე, აქ უფრო დამოუკიდებლად ანაწილებენ შემოსავალს, საწარმოს საჭიროებისათვის იყენებენ დაზოგილ მასალებს.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲡ

# ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗᲝᲑᲐ

## ანუ როგორ გაითამაშეს კოოპერატორებმა „სპექტაკლი"

**ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ** წლის 8 იანვარს რუბრიკით „წერილები კომუნისტს" ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ლემშვანიერა ელის დახმარებას". მას ხელს აწერდნენ საკმაოდ კომპეტენტური პირები: ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის პარტიული კომიტეტის მდივანი შ. გვარმიანი და კომპლექსის დირექტორის მოადგილე ო. პატარაია. ავტორები კმაყოფილებით მოუთხრობდნენ მკითხველებს, თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად ჯანდარის ისტორიულ ველზე როგორ იშვა კიდევ ერთი ქართული სოფელი სტიქიით დაზარალებული სვანი ლტოლვილებისათვის. მისმა მომავალმა მკვიდრებმა ახალშენს ლემშვანიერა (სრულიად სვანეთი) უწოდეს. წერილში გამოთქმული იყო შენიშვნებიც, კერძოდ, გარდაბნის რაიკავშირის გამგეობისა და მისი საზოგადოებრივი კვების გაერთიანების მიმართ. მოითხოვდნენ მუშათა სასადილოს უკეთ მომარაგებას, განსაკუთრებით რძის პროდუქტებით, აგრეთვე მშენებარე სოფლის მშრომელთა უკეთ დაკმაყოფილებას სამშენებლო მასალებით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლტოლვილთა ოჯახების ახალ სოფელში დამკვიდრებისათვის. ეს კი ყველა ორგანიზაციის პატრიოტული საქმეა. მანამდე ჯანდარის კომპლექსის ხელმძღვანელებმა ეს აზრი გამოთქვეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, პარტიის გარდაბნის რაიკომის პლენუმზე. ამის შესახებ წერდნენ სხვადასხვა ინსტანციაში.

წერილს გამოქვეყნებისთანავე გამოეხმაურა ცეკავშირის ხელმძღვანელობა და ადგილზე ორი თანამშრომელი მიავლინა. საქმე თითქოს კარგად დაიწყო, მაგრამ ვინ რა იცოდა, რომ მათ საქმის გამოსწორების სურვილი კი არა, გაზეთში გამოქვეყნებული წერილის განქიქება ამოქმედებდათ. ამაზე კომპლექსის დირექტორის მოადგილეს ო. პატარაიას მოვუსმინოთ:

— ჩვენ მათ დაწვრილებით გავუმარტეთ ჩვენი გულისტკივილი, — თქვა მან, — ვაჩვენეთ სასადილოს ახალი შენობა, რომელიც კარგა ხანია აშენდა, მაგრამ მოწყობილობა აღარ დაამონტაჟეს და უქმად დგას. რაც შეეხება არსებულ სასადილოს, რომელიც ადმინისტრაციული შენობის ერთ პატარა ოთახშია შეყუჟული, კოოპერატორებმა „სპექტაკლი" გაითამაშეს, შემოწმების დღისათვის მართლაც ბლომად შემოზიდეს ფართო ასორტიმენტის პროდუქტები. სწორედ ასეთ თვალის ახვევაზე ვწერდით ჩვენს პირველ წერილშიც: თუ სადმე ვიჩივლეთ, ერთ-ორ დღეს მოგვხედავენ, მერე ისევ ღვთის ანაბარა მიგვაგდებენ და მხოლოდ კომპლექსის მიერ მიცემულ ხორცზე ვართ დამოკიდებულიო. ისიც აღვნიშნეთ, რომ ჯანდარის ცენტრში ერთ დროს იყო სასადილო და მისი დახურვის მიზეზი დღესაც არ ვიცით. ასე იყო თუ ისე, ცეკავშირელები დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. ორიოდე დღეში სასადილოს დახლ-მაცივარი კვლავ დაიცალა, ამაოდ ველოდებით სამშენ მასალებსაც.

ახლა მოგვაქვს ადგილი წერილიდან, რომელიც რედაქციამ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მ. ჭუმბურიძის ხელმოწერით მიიღო.

„...შესწავლილ იქნა მეცხოველეობის კომპლექსის სასადილოს მუშაობა და დადგინდა, რომ გაყიდვაში უწყვეტად იყო პური, სუპ-ხარჩო, გულიაში, შემწვარი თევზი, არაჟანი, ხაჭო, მაწონი, ძეხვი, მოხარშული კვერცხი, სამი დასახელების კონსერვი, ვაშლის ჯემი, საკონდიტრო ნაწარმი, დანდური, ჩაი, ლიმონათი, მინერალური წყალი და სხვა პროდუქტები. ობიექტის მუშაკებთან, მომხმარებლებთან და რაიკავშირის ხელმძღვანელებთან საუბრით და საქონლის მიღების დოკუმენტაციის გადამოწმებით დადასტურდა, რომ ზემოაღნიშნული პროდუქტებით მომარაგებაში შეფერხებებს ადგილი არ აქვს" (სტილი დაცულია).

ეს კი მეტისმეტია. სიზმარშიც ვერ წარმოიდგენს კაცი ერთ ისეთ მუშათა სასადილოსაც კი, რომელიც ასე უხვად მარაგდებოდეს ნაირნაირი პროდუქტებით. ჯანდარის კომპლექსის სასადილო რომ შორს არის სანიმუშოსაგან, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. კვლავაც მივყვეთ ფაქტებს:

გარდაბნის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა პროფკავშირების მუშათა კონტროლის რაიონულ მუშა ჯგუფთან, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებისა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მუშაკებთან ერთობლივად შეისწავლა რაიონში მუშათა სასადილოების მდგომარეობა და ამ საკითხზე საფუძვლიანად იმსჯელა მიმდინარე წლის 26 იანვარს, ანუ „კომუნისტში" წერილის გამოქვეყნებიდან 18 დღის შემდეგ. კონტროლის რაიკომის მასალებში ჯანდარის „სანიმუშო" სასადილოს შესახებ აღინიშნა:

ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის ბუფეტში, რომელიც ფუნქციონირებს როგორც სასადილო, შემოწმებისას გასაყიდად გამოტანილი ჰქონდათ ვადაგასული, სარეალიზაციოდ უვარგისი პროდუქტები. აქვე ჰქონდათ ვეტექიმის მიერ შეუმოწმებელი ხორცი. რაკი ბუფეტს შტატით არ ეკუთვნის მზარეული, კერძებს თვითონ მებუფეტე ამზადებს. მას ეხმარება მეურნეობის ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი ორი პირი, რომლებსაც არც სანიტარიული წიგნაკები აქვთ და არც საზკვების ობიექტებში მუშაობის ნებართვა. ბუფეტში სანიტარიული წესების უხეში დარღვევით ინახებოდა პროდუქტები. სამზარეულოდ გამოყენებულ ოთახში არ ჰქონდათ პროდუქტების დასამუშავებელი ინვენტარი, სურსათის შესანახი სათავსები.

ახლა ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის პროფკავშირის მუშათა კომიტეტის კომისიის შემოწმების მასალებს გავეცნოთ. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ პროფკომიტეტის თავმჯდომარე ლ. სადილიანი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე ა. ხაგანი, სახელოსნოს გამგე ა. ალდაზოვი და ბუღალტერი ქ. ლობჟანიძე. ბუფეტში რძის ნაწარმი არ შემოსულა, აღნიშნავენ ისინი, რძე შემოდის მათარებით და ტექნოლოგიის დარღვევით ადგილზე მზადდება მაწონი და კაკაო, არა აქვთ ყველი, შემოწმების დღისთვის (15 მარტი) არ ჰქონდათ ძეხვი, მინერალური წყლები და ა. შ. ხილსა და ბოსტნეულზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სამწუხაროდ, დღემდე თითქმის ასეთივე მდგომარეობაა.

გავესაუბროთ მომხმარებელს. მშენებლობის მოიჯარე ორგანიზაციის ხელმძღვანელი ტ. ნიკოლაიშვილი განმარტავს: აქ იშვიათია ასორტიმენტის მრავალფეროვნება. მუშები ძირითადად კომპლექსისაგან მიცემული ხორცის ნახარშით იკვებებიან. ესეც არის მიზეზი, რომ მშენებლობაზე აღარ მოდიან, ხოლო ვინც მოდის, მალე გვტოვებს.

რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერენ კომპლექსის დირექტორის მოადგილე ე. ღვაჩლიანი, პარტიის და შრომის ვეტერანი ტ. ჰელიძე, მუშები ქ. კაკრიაშვილი და რ. იოსელიანი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე მ. გაჯიევი, დაცვის უფროსი ვ. ფირიევი, გამოთქმულია აღშფოთება ცეკავშირის უსწორო პასუხის გამო. მას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, აბუჩად იგდებს კომპლექსის მუშა-მოსამსახურეებს და მშენებლებს, — წერენ ისინი, — გვაოცებს სიტყვები! „სასადილოს ზემოაღნიშნული პროდუქტებით მომარაგებაში შეფერხებებს ადგილი არ აქვსო". ამაზე იტყვიან: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო.

არც საშენი მასალების მაღაზია-საწყობის ფილიალის ან დროებითი პუნქტის გახსნას შეხვდნენ ცეკავშირში მოწონებით და ხელი ადვილად დაიბანეს. „ეს რაიაღმასკომის კომპეტენციაში შედისო", რაზეც რაიაღმასკომმაც ცივი უარი განაცხადა: ვაზიანის ბაზა ახლოსაა, და ვისაც სურს, იქ იყიდოს საშენი მასალაო. მაგრამ მათ გულახდილად უნდა ვუთხრათ, თუ რა მამასისხლად ჯდება ბაზებში მასალის შეძენა, რისი საშუალებაც სტიქიით სახლკარდანგრეულ ადამიანებს არ აქვთ. გაიხსენონ, რა ენერგიის ფასად დაუჯდა შრომისა და პარტიის ვეტერან ტ. ჰელიძეს რამდენიმე კუბური მეტრი ფიცრის შოვნა. ამისათვის მან თითქმის ერთი წელი იარა სამინისტროებსა და უწყებებში. ასეთი ოჯახი ჯანდარაში 350-ია და ყველას არა აქვს ამის საშუალება. ექსტრემალურ პირობებში ექსტრემალური ზომებია საჭირო.

ასევე უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ამ საქმეს გარდაბნის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, თითქოს პირი შეუკრავთო, მისმა თავმჯდომარემ ტ. ველიევმა რედაქციისადმი გამოგზავნილ პასუხში, არც მეტი, არც ნაკლები, სიტყვა-სიტყვით იგივე გაიმეორა, რასაც ცეკავშირიდან იწერებიან.

უეჭველია, ჯანდარაში შექმნილი მდგომარეობა „იდეალურად" წარმოსახეს ცეკავშირის წარმომადგენლებმა და ცეკავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილეც მათ მასალებს დაეყრდნო, მაგრამ ეს არავის არ ამართლებს. ყველა ორგანიზაციაში უნდა სუფევდეს ისეთი განწყობილება, რომ ნაკლოვანებები არ მიჩქმალონ, თორემ იგი თავად არ დამალავს თავს.

რაკი გარდაბნელ კოოპერატორებს დამცველად „მამაზეციერი" მოევლინათ, თავი ნებივრად იგრძნეს და გაზეთის კრიტიკა უსამართლოდ მიიჩნიეს. გარდაბნის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მ. კუდაშვილმა საქართველოს კოოპერატორთა ყრილობაზე ქვა ქვაზე არ დატოვა, აქაოდა, ეს როგორ გვაკადრესო, და „კომუნისტი" „საფუძვლიანად" გააკრიტიკა. აი, სადამდე მიგვიყვანა მუშაკის დაუმსახურებელმა მფარველობამ და თავზე ხელის გადასმამ. გარდაბნის რაიკავშირის მუშაობაში რომ სერიოზული ნაკლოვანებებია, ამას მის მესვეურებს ისევ ფაქტებით მოვაგონებთ:

შარშან ნოემბერში გამართულ რაიონული პარტიული კონფერენციის საანგარიშო მოხსენებაში სიტყვა-სიტყვით წერია: „რაიონში 1986-1987 წლებში არ შესრულებულა საქონელბრუნვის გეგმები, მიუხედავად ტემპების ზრდისა, კვლავ ხშირია ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები, არასრულად გამოიყენება საქონელბრუნვის მოცულობის გადიდების აუმოქმედებელი რეზერვები. ნელა ვითარდება დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა". შემდეგ მოყვანილია კონკრეტული ფაქტები, თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვა სისტემაში კადრების უსწოროდ შერჩევას და დაწინაურებას. სახალხო კონტროლის რაიკომის 26 იანვრის დადგენილებაში კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გაანალიზებულია რა რაიონის მუშათა სასადილოების მუშაობა, აღნიშნულია, რომ ზოგი მათგანი ვერ ასრულებს ვაჭრობის გეგმებს, სათანადოდ ვერ ემსახურება მომხმარებელს. დასახელებულია გარდაბნის საკონსერვო ქარხნის, გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის, საქსახაგრომრეწვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის რესპუბლიკური ბაზის, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის, გაჩიანის დოლომიტის ქარხნის სასადილოები, რომლებიც კეთილსინდისიერად ვერ დგანან მუშათა სამსახურში, ხშირია პროდუქტების და სიგარეტის გადამალვა, სხვა ნეგატიური მოვლენები. ამ საქმეს არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს საზკვების რაიგაერთიანება და პირადად მისი დირექტორი ვ. ერიოიანცი.

როგორც ვხედავთ გარდაბნელ კოოპერატორებს სატრაბახო და სამედიდურო არაფერი აქვთ და სამართლიან კრიტიკას პატივი უნდა სცენ. ცეკავშირის ცალკეულმა ხელმძღვანელებმა უსაფუძვლო მფარველობა კი არ უნდა გაუწიონ მათ მოქმედებას, არამედ განაწყონ იმისათვის, რომ მთელი ძალისხმევა წარმართონ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მშრომელთა მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, სისტემაში წესრიგისა და მაღალი კულტურის დამკვიდრებისათვის.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲘᲬᲐᲫᲔ,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

⊙ საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი... საჯაროობამ და დემოკრატიამ ბევრი უსამართლოდ მივიწყებული სახელი დაუბრუნა ერს.

და აი, კიდევ ერთი—ვახტანგ ღამბაშიძე. პარიზში ემიგრირებული გამოჩენილი ექიმის, ინტელიგენტის, მოღვაწის მთელი ცხოვრება სამშობლოს სიყვარულით იყო გაჯერებული. თავის დროს მას ახლო ურთიერთობა ჰქონია აკაკი წერეთელთან, მიხაკო წერეთელთან, გრიგოლ რობაქიძესთან, პეტრე მელიქიშვილთან და სხვებთან.

მკითხველებს ვთავაზობთ ვახტანგ ღამბაშიძის მოგონებებს, რომელიც გაზეთ „კომუნისტში" გამოსაქვეყნებლად მოამზადა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გურამ შარაძემ. დღეს იბეჭდება მოგონებათა პირველი ნაწილი.

# შვილნი პატარა და ძვირფასი საქართველოსი

გამოჩენილი ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ დავითის ძე ღამბაშიძე დაიბადა 1872 წელს. „ბედი ქართლისა"-ში გამოქვეყნებული ნეკროლოგის ავტორი მოგვითხრობს:

„ვახტანგი შვილი იყო იმ სახლისა, რომელიც აშენებულ იყო ძველ, მტკიცე ქართულ საფუძველზედ. ამ სახლის შვილები ზემო-იმერეთში ჭიშითაც შვენიერები იყვნენ, ვაჟკაცობითაც განთქმულნი და სულით ნამდვილნი ქართველნი და ამაყნი დამცველნი ქართველობისა და მოღვაწეობით მსხვერპლის გამღებნი მისთვის. თვით ვახტანგი შვილი იყო მღვდლის დავითისა, რომელსაც ზესტაფონში და ერთობ ზემო იმერეთში „დიდ დეკანოზს" ეძახდნენ. და რაც დეკანოზ დავით ღამბაშიძეს თვისი ცხოვრების განმავლობაში ქართული საქმისათვის სამსახური გაუწევია სიტყვით, საქმით თუ კალმით, ეს მისი დროისათვის მართლაც დიდი ღვაწლი იყო, — მარტო მის მიერ გამოცემული მდიდარი შინაარსის გაზეთი „მწყემსი" (სასულიერო ორკვირეული ჟურნალი, გამოდიოდა 1883-1910 წლებში, ყვირილაში, ანუ ზესტაფონში, გ. შ.), რომელიც დაულალავად და ხანგრძლივად ემსახურებოდა არა მარტო საქართველოს სამღვდელოებას და ეკლესიას, არამედ მთელ ქართველ ერს, — რად ღირს! და ამ კაცმა, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა სახელი „დიდი დეკანოზისა", ჩაუნერგა თვისი სული თვის პირმშო შვილს ვახტანგს, რომელსაც გარდაეცა მამისაგან ქართული ხულის გარდა მისი ენერგიაც" („ბედი ქართლისა", პარიზი, 1951 № 10, გვ. 1).

ვახტანგ ღამბაშიძემ დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და ცოდნის გაღრმავების მიზნით პარიზში განაგრძელა სამკურნალო მეცნიერების სწავლა. პარიზში მან შეირთო უცხოელი ქალი — ვანდა (წარმოშობით ინგლისელი, ოღონდ, თავს თვლიდა ფრანგად), მაგრამ მან „ისე შეითვისა და შეიყვარა საქართველო, ქართველობა და ქართული ენა, რომ ბევრი ქართველი ქალისთვისაც სამაგალითო იყო. მან შეუქმნა ვახტანგს ქართული სახლი, ღრმესი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული მთელი ქართული საზოგადოების წინაშე და მეგობრობდა ურჩეულეს წევრებს ქართული საზოგადოებისა. არ ყოფილა ქართული საქმე, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ ვახტანგს და მის მეუღლეს, და ამ მათ ღვაწლს სიყვარულით და მადლობით აღუნიშნავდნენ მათ ეროვნული საქმის მსახური ქართველობა" (იქვე). ვანდასგან ვახტანგ ღამბაშიძეს ოთხი შვილი ჰყავდა: მედეა, სუნანა, გივი და ყორეეტა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვანდა ღამბაშიძისა გახლდათ ახლადგახსნილი თბილისის უნივერსიტეტის ერთი პირველი პედაგოგთაგანი: ივანე ჯავახიშვილმა იგი ინგლისური ენის პროფესორად მიიწვია უნივერსიტეტში.

ვახტანგ ღამბაშიძემ მთელ საქართველოში სახელი გაითქვა არა მარტო როგორც უებრო მკურნალმა, არამედ როგორც დიდმა საზოგადო მოღვაწემ და ჭეშმარიტმა პატრიოტმა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ თავის მამასთან — დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან ერთად, ვახტანგ ღამბაშიძემ 1904 წელს ბორჯომის ხეობაში დაარსა სახელგანთქმული სანატორიუმი „პატარა ცემი". მისი ბიოგრაფი განაგრძობს:

„ბავშვების სეზონის გათავების შემდეგ აქ იკრიბებოდა ზაფხულში და შემოდგომის დასაწყისში საქართველოს ყველა კუთხიდან საუკეთესო ქართული საზოგადოება ყოველი წრისა და პოლიტიკური მიმართულებისა. აქ ნახავდით აკაკი წერეთელს, ძველს მეგობარს დავით დეკანოზისა და მისი სახლისა, კიტა აბაშიძეს, ივანე ჯავახიშვილს, — მათი მეუღლეებით ორბელიანთა სახლიდან, და სხვათ მრავალთ, და ისეთ მრავალფეროვან კრებულს, თითქოს იქ საქართველოს რაიმე ეროვნული ყრილობა ყოფილიყოს! ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იყო საუბარი და დრო გატარება მათი. და ნაზიარებნი ურთიერთის აზრთა, განზრახვათა, მოქმედების გეგმათა, და გამაგრებულნი ვახტანგის ექიმობით, სანატორიუმის მოვლით და კარგი ჰაერით, იგინი სულიერადაც კმაყოფილნი უბრუნდებოდნენ ხოლმე მათ საქმეებს".

სხვათა შორის, ამ სიტყვების დამადასტურებელი ორი მშვენიერი მოგონება თვით ვახტანგ ღამბაშიძეს აქვს გამოქვეყნებული „ბედი ქართლისას" 1949 წლის № 5-სა და № 6-ში საერთო სათაურით „აკაკი წერეთელი ექ. ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმში", რომელსაც ახლავს ორი ქვესათაური: „პატარა ცემის მოგონებიდან" (№ 5, გვ. 22-24) და „პატარა ცემის დღიურიდან" (№ 6, გვ. 29-31). ორივე მოგონება, რომელიც ჩვენში უცნობია, ძლიერ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის დიდი აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების თაობაზე და გადავწყვიტეთ აქ გამთლიანებული სახით მივაწოდოთ ჩვენს მკითხველს:

* * *

## „აკაკი წერეთელი ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმში

### 1.

ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკი ძალიან დაახლოვებული იყო მამა ჩემის ოჯახთან. ერთ დროს დაბადებულნი, ერთ მაზრაში მცხოვრებნი, თანამედროვენი იყვნენ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე და ეკუთვნოდნენ იმ მცირე ჯგუფს, ეროვნულად განწყობილ მოწინავე ქართველობისა, რომელთა რიცხვი იმ დროს თითებით ჩამოსათვლელი იყო. ეს მეგობრობა აკაკისა და მამას შორის უფრო განმტკიცდა, როდესაც მამა ჩემი შეუდგა ერთად-ერთ სასულიერო-საერო ჟურნალის „მწყემსი"-ს გამოცემას, რომელიც მან განაგრძო მრავალი დაბრკოლებისა და სიძნელის მიუხედავად, ოცდა-შვიდი წლის განმავლობაში.

საჩხერედან მომავალი გზა, ქუთაისში წასასვლელად ზესტაფონზე მოდიოდა და იქიდან 1872 წლიდან უკვე რკინის გზით შეიძლებოდა ქუთაისს ჩასვლა. აკაკი წერეთელიც, რომელიც თავის სოფელ სხვიტორში (საჩხერესთან ახლოსაა) სცხოვრობდა, თბილისში თუ ქუთაისში წასასვლელად ყოველთვის ზესტაფონში უნდა ჩამოსულიყო და ამიტომაც ხშირად რჩებოდა ჩვენს ოჯახში. მეც სულ პატარას მახსოვს მისი ალერსიანი ლაპარაკი და მხიარული ღიმილი. მას განსაკუთრებულად უყვარდა ბავშვები, დიდის ყურადღებით ეპყრობოდა მათ და ეს რასაკვირველია ბავშვისათვის ყოველთვის მეტად საგრძნობელია. ბავშვი, როგორც პატარა კატამ იცის და პატარა ძაღლმაც, მაშინვე იგრძნობს ხოლმე, თუ მას დიდი უცხო ვინმე მიეალერსება — ეს საერთოდ ცნობილია. ამიტომაც ჩემი ნორჩი ბავშობიდან აკაკის მშვენიერი სახე და სასიამოვნო ლაპარაკი მომხიბლავ მოგონებათ მაქვს დარჩენილი. მისი ხანგრძლივი საუბარი ჩემ დედ-მამასთან ტკბილი ნანასავით ყურს მიამებდა და რაღაც სათაყვანებელ ზღაპრად მესახებოდა, ყოველთვის, როდესაც იგი გაჩნდებოდა ჩვენს ოჯახში. ყოველთვის წაიკითხავდა ხოლმე ახლად დაწერილს თავის ლექსს, რომელთაგან ბევრს ვიზეპირებდით წარმოუდგენელის სიადვილით მეც და ჩემი ძმაც.

ეს მეგობრობა არასოდეს არ შეწყვეტილა, არამედ მრავალ საერთო მუშაობის ნიადაგზე თან-დათან ძლიერდებოდა (მაგრამ ეს არ ეხება ეხლანდელ ჩვენს საგანს), და საბოლოოდ განმტკიცდა უფრო ძლიერად, როდესაც მე უცხოეთიდან დაბრუნებულმა დავიწყე საექიმო მუშაობა ზესტაფონში და მთელ შორაპნის მაზრაში. აკაკი წერეთელი მაშინაც, ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ოჯახისა და თვისი „კრებული"-ს გამოცემაც თბილისიდან მან ზესტაფონში გადმოიტანა. იქ იბეჭდებოდა ეს საგულისხმო კრებული, სანამ უსახსრობამ არ აგვაღებინა მის გამოცემაზედ ხელი, იმის-და მიუხედავად, რომ ბევრი გვყავდა მკითხველი, მაგრამ ბევრს არ მოჰქონდათ საჭიროდ და სავალდებულოდ ხელის-მოსაწერი ფულის გადახდა. იქვე გამოვეცით აკაკის სრული ნაწერების პირველი ტომი და აგრეთვე „გამზრდელი კაცის" და



„კიკოლას ნაამბობის" პატარა ჯიბით სატარებელი წიგნაკები.

ამავე დროს დაიწერა და დაიბეჭდა აკაკის ცნობილი პოემა „მედეა", რის სახსოვრადაც და მოსაგონებლად დაერქვა ჩემს პირველ ქალიშვილს „მედეა", რომლის ნათლიად გახდა თვითონ აკაკი და მომნათვლელად — კი მამა ჩემი. სასიამოვნო და საგულისხმო სურათს წარმოადგენდა ეს სანახაობა: ახლად დაბადებულ ნორჩ ბავშთან ორი ჭარმაგი ბუმბერაზი, როგორც ორი ქურუმი ჩვეულებრივი ადათის შემსრულებელი, რომელთაგან ერთი იყო შემქმნელი და ხმა-შეწყობილად ამსხმელი ამ პოემისა და მეორე — კი უშიშრად და მოურიდებლად შემსრულებელი დადგენილი ქართული ადათისა, იმის და მიუხედავად, რომ ასეთი სახელები, როგორც „წარმართულად" დასახული უცხო მთავრობისაგან აკრძალული იყო.

1898 წლიდანვე შევუდექი სასანატორიე ადგილების ძებნას და ეს განზრახვა არავისათვის არ დამიმალავს, მაგრამ ძალიან ცოტანი იყვნენ ამ საქმის მომხრენი.

ხუთი წლის ძებნის შემდეგ მივაგენი პატარა ცემს და იქვე დავიწყეთ მე და მამა-ჩემმა პირველი სანატორიუმის აშენება 1904 წ. ამ ახალი სამკურნალო ტაძრის გახსნა და კურთხევა გადაწყვეტილი გვქონდა 15 ივნისისათვის. ამ დროს უნდა ამოსულიყო ჩვენი მგოსანიც საერთო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მოულოდნელმა ამბავმა ექიმ სამსონ თოფურიას უეცრივ გარდაცვალებისამ, შეუშალა ხელი და დააბრკოლა ჩვენთან ჩამოსასვლელად. განსვენებულს ჰქონდა ქუთაისში მშვენიერი სამკურნალო, სადაც აკაკის ჰქონდა მიჩნეული მშვენიერი ოთახი. იქვე იდო გიტარა, რომლის დასაკრავადაც ყოველ დღეს მიდიოდა მასთან ბარბარე მაჭავარიანის ასული წერეთლისა მისი ახლად დაწერილი ლექსის „სულიკოს" დასამღერებლად, რომლის დასამღერებელი ჰანგიც სწორედ მანვე შექმნა. აკაკი ამ დროს გულის ავადმყოფობით იყო ავად, მაგრამ მისი ექიმი არ უშლიდა მას ამ გასართობს, რომელიც იმავე დროს ავადმყოფზე წამალივით მოქმედებდა. სწორედ სამსონ თოფურიას სამკურნალოდან მოედო მთელს იმერეთს და შემდეგ მთელ საქართველოს ეს მომაჯადოებელი ჰანგი, რომელმაც ამ ბოლო ომის დროს უცხოეთამდეც — კი მოაღწია.

თიბათვის დამლევს მოსულმა ჩვენმა მგოსანმა პატარა-ცემში მაუწყა, რომ ეხლა სულ ცოტა ხნით მოვედი აქაურობის დასათვალიერებლად და მარიამობის თვეში-კი რამოდენიმე დღეს დავრჩებიო... შემდეგ დაპირებისამებრ პატარა-ცემს გვეწვია ჩვენი მგოსანი მარიამობის თვეში. საუკეთესო ოთახი მივუჩინეთ და ყველანი აღტაცებით ალსავსე ვცდილობდით მის გართობას და პატივისცემას. პატარა-ცემის ბუნების სიდიადემ მოხიბლა პოეტი, რომელიც დიდი მოყვარული იყო ბუნების და მისი მშვენიერების იშვიათი დამფასებელი. აკაკი ბევრს ჰკითხულობდა, ხშირად ერთობოდა ბავშვებთან ლაპარაკით. დიდებსაც ყურადღებით ელაპარაკებოდა და სიამოვნებით შეექცეოდა იქაურ საზრდოობას (ხუთჯერ დღეში). ისვენებდა ხან ფიჭვნარში, ხან ბაქანზედ, საღამოობით-კი ხალიჩაზე წამოწოლილი საუბრით ერთობოდა და ჩვენთან ერთად ელოდა ხოლმე მთვარის ამოსვლას. მთვარე ამოდიოდა სანატორიუმის აღმოსავლეთით მდებარე თორთიზის მთის მწვერვალზედ, რომელიც საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ ცოტა მოგვიანებით, ასე საღამოს 10 საათზედ. როცა მთვარე ამოვიდა, აკაკიმ მითხრა: „აბა, ჩემო ვახტანგ რომ მთხოვდი და დაგპირდი, დაგიწერე ლექსი"-ო. სიამოვნებით მივაჩერდი და ველოდი, როდის მომცემდა დაპირებულს. „ხვალ დილით ჩემთან რომ შემოხვალ, გიკარნახებ, ლექსი აქ მაქვს დაწერილი"-ო — თავის განიერ შუბლზე თითის მიდებით დამიდასტურა ნათქვამი.

მე ვიცოდი მისი ჩვეულება: ხან და ხან უცებ გაირინდებოდა და ჩაჩუმდებოდა ხოლმე; ამ დროს ის ქმნიდა ლექსს, რომელსაც იმახსოვრებდა ზეპირად. მივაცილე თავის ოთახამდე; ყველაფერი მივართვი, რაც საჭირო იყო და სიამოვნებით ჩავწექი ჩემს ლოგინში მოუთმენელი მოლოდინით. დილით მისალმებისას გამიღიმა, მკითხა: „მოიტანე რამე დასაწერათო", დაინახა ყველაფერი მზად მქონდა, დაიწყო და მთლიანად მიკარნახა შემდეგი ლექსი ლოგინში მწოლიარემ:

### „პატარა ცემი

თუ სენი ვისმეს შემოჰპარვია
და გულს ისარი ნაღვლად სცემია,
მისთვის სამოთხე — საავარაკოდ
და სამკურნალოდ მხოლოდ ცემია.
ჰაერი წმინდა, ხდილი და თბილი,
სუნნელ-კეთილად შეზავებული;
ირგვლივ ნაძვნარი, — ქარბუქის ფარი,
შუა — მინდორი აყვავებული.
მდინარე წყალი, ჩუხ-ჩუხ-მღერალი,
ვით „უკვდავების წყარო" კამკამი
და აიაზმად გადმონასხური,
დილა-საღამოს ციური ნამი.
მიველ გაყრის დროს დღე და ღამისა,
როცა ნათელი ბნელს ეჭიდება,
მაგრამ ძლეული ბუნების რიგით,
რომ შეისვენოს დროებით მჰქრება.
იქვე მახლობლად მაღალ მწვერვალზე
თავი ამოჰყო, გადმოდგა მთვარე,
ბურთი ციური სასუფევლისა,
გულ-სევდიანი, სხივ-მომფინარე.
სტყორცნა ნათელი. გამოაფხიზლა
ჩაფიქრებული იმ დროს მიდამო
და თითქოს ტკბილად უმახარობლა:
მადლი მოგიძღვნა მადლით ზეცამო!
შეირხენ შტონი ფოთოლთ შრიალი,
ყვავილოვანი ბიბინებს ველი;
მიმოქრის სიო, ჰგალობს ბულბული,
ქვეყნად გადმოდის სასუფეველი.
გამმსჭვალა მეც ამ სანახაობამ,
ბრძმედში გამავლო და გადამცვალა,
სული ამაღლდა რა საზენაოდ,
ხორცს საამქვეყნოდ ემატა ძალა.
და ვსთქვი: ბუნებავ ძლევამოსილო,
თვით ჯანაოზი შენ ხარ მკურნალი
და ხელის შემწყობ მხოლოდ მასალად
ექიმები და მათი წამალი!"

დასრულდა თუ არა კარნახი, ღიმილით შემეკითხა აკაკიმ: — „აბა, როგორ მოგწონს"-ო და მეც აღტაცებით ვუპასუხე, რომ ასეთ მშვენიერ აღწერას ამ ადგილისას ვერცერთი ექიმი ვერ მოახერხებდა და უკეთესი ქება და მეტადრე მშვენიერი ლექსით შემკული წარმოუდგენელიც იყო. უღრესი მადლობა შევსწირე და ვსთხოვე თავის ხელით ჩაეწერა ჩემს საგანგებო დავთარში, რომელსაც შემდეგ ყველა მომსვლელი პატარა-ცემში სიამოვნებით ეცნობოდა (გამოქვეყნდა „ივერიაში" 1904 წელს, № 209, ვარიანტული სხვაობებით. გ. შ.).

ეს ერთად-ერთი რამ არის, რაც დამრჩა ჩემი სანატორიუმიდან, რომელსაც თავს ვევლებოდი და შვილივით ვუვლიდი, რადგანაც სანატორიას მე ჩემ მეხუთე შვილად ვთვლიდი, მაგრამ ჟამთა სიავემ და უწყალო ბედმა იგი საბოლოოდ არ შემარჩინა...

წარსულში ბევრმა შეივსო შერყეული ძალღონე და გაიმაგრა სუსტი სხეული პატარა ცემში ჩემი სანატორიის წყალობით. ეხლა სწორედ, როდესაც ცალკე წიგნად ვწერ მის აღწერას, მინდა ჩემთან ნამყოფი პირების მოგონებით შევავსო ეს აღწერილობა. ბევრნი იყვნენ ასეთი პირები. მათ შორის ბევრმა იჩინა თავი საზოგადო ასპარეზზე ნაყოფიერი მოღვაწეობით, მაგ.: ვუკოლ ბერიძემ, ინგოროყვამ, აბაშელმა, გიორგი ნიკოლაძემ, არჩილ ხარაძემ, კომპოზიტორმა არაყიშვილმა, იაკობ ნიკოლაძემ, შალვა ღამბაშიძემ და სხ. და სხ.

### 2.

წარსულ წერილში უკვე აღვნიშნეთ, რა პირობებში შეითხზა ჩვენი სახელოვანი მგოსნის აკაკის მიერ შესანიშნავი მისი ლექსი „პატარა ცემი". თითქმის იმავე დროს, იმავე ხალიჩაზე დასვენების დროს, მთვარის ამოსვლის მოლოდინით გარინდვის დროს ჩაისახა მის ოცნებაში ეს მეორე ლექსიც, რომელსაც ვუძღვნით მკითხველებს და რომელიც აგრეთვე დაუბეჭდავ ლექსს წარმოადგენს (დაბეჭდილია „ივერიაში"—1904, № 249 და „მწყემსში", 1904, № 21, გ. შ.).

მთვარის ამოსვლის მოლოდინში, აკაკის ახლოს რამოდენიმე პირი ვიყავით. ზოგი ძირს მწვანეზე დამსხდარი და ზოგიც ზეზე მდგომი; ყველანი თითქმის გარინდულნი, მეტადრე მაშინ, როდესაც თორთიზის მთაზე „გადმოსადგომად" მთვარის სხივები უკვე უახლოვდებოდენ მწვერვალებს. ამ დროს იქ იდგა სანატორიუმის ბავშვების მოსავლელად მოწვეული ა. ჩიჯავაძის ასული და იქვე იმის გვერდით ერთი ახალგაზრდა სტუდენტი, მასავით ქანდაკებასავით ამართული. ამ სურათის მნახველმა აკაკიმ, თითქოს არ უნდოდა სიჩუმე დაერღვია, ჩუმად მითხრა: „შეხედე ამ ორ არსებას ერთად მთვარის ამოსვლის მოლოდინით უძრავად მდგომთ. ეს ძველის-ძველად ითვლებოდა დაჭორწინების ნიშნად როგორცკი მთვარის შუქი გაანათებდა მიდამოს". ამასობაში



მთვარე [illegible] მათ: „[illegible] ნაც მა[illegible]

რამო[illegible] ცემში მოსულმა ერთმა ერისთავის ასულმა, დამ ჩვენში ცნობილის ნ. ქობულაშვილისამ, აკაკის მისწერა ლექსი, რომლის საპასუხოდაც მგოსანმა გაუგზავნა ქვემოხსენებული ლექსი, სადაც პოეტმა ხელ-ახლად შეაქო მდიდარი ბუნება ამ იშვიათი ადგილის და სადაც იმ ქალის გარინდვის მოგონებაც არის გარეული. სამწუხაროდ ვერ ჩავიგდე ხელში იმ ლექსის ასლი, რომელმაც გამოიწვია ეს მეორე მშვენიერი ლექსიც პოეტისა, რომ ამ დღიურშივე მომექცია...

### „ერისთავის ასულს საპასუხოდ

მეც მახსოვს ცემი!.. არ მავიწყდება
საღამო მე იქ გატარებული!..
რომ მაგონდება, ახლაც სიამით
და სიტკბოებით მიღელავს გული.

შორს, შორს მაღლობზედ დაცემულ მინდორს
გარს შემორტყმია ხშირი ნაძვნარი,
რომ გაუგრილოს ცხელი ზაფხული
და გაუამოს ცივი ზამთარი.

წმინდა მდინარე, ცელქად მჩქეფარე,
გარს შემოუვლის იმ არემარეს,
და თელხს უგზავნის, რომ შეარხიოს,
სულმოკიდებულ ყვავილს, მცენარეს.

სუყველა ერთად იმ ღრმა წყვდიადში
უცდის... მოელის სულგანაბული:
მნათობი როდის აღმობრწყინდება?
და როდის დასტვენს ტკბილად ბულბული?

და, აჰა, მართლაც მაღალ მთის წვერზე
გადმოჯდა მთვარე სხივმომფინარე;
მიეალერსა ცას და ქვეყანას,
ვით მეგობარი ტკბილ-მომღიმარე.

გამოიღვიძა ცამ და ქვეყანამ,
ვერ აშორებენ ერთმანეთს თვალსა,
და თანასწორად თანხმობით გრძნობენ
შემოქმედების დიადსა ძალსა!

მაღალ ხის ძირში ბროლის ქანდაკად
იდგა უძრავად ტურფა ასული,
და მთვარის შუქზე მოძრავ სახეში
გამოხატვოდა გული და სული.

და მიბნედილი მისი თვალებიც
ბრწყინავდა, როგორც წმინდა ლამპარი!
მაგრამ რას გრძნობდა? და რას ჰფიქრობდა?
ის იყო ჩემთვის გაუგებარი!

ვფიქრობდი გულში: ნეტავ ეს ქალი
რაზედა ჰფიქრობს და რა აღონებს?
ნუთუ ჩვენს წარსულს, აწ დავიწყებულს,
გულდაწყვეტილი ოხვრით იგონებს?

ითვალისწინებს იმ ჩვენ ძველ დედებს,
ისე პირნათლად რომ იხდიდენ ვალს:
ქმრებს გასაჭირში უღელს უწევდენ
და უმზადებდენ გმირებს მომავალს?

ჰფიქრობს და აღთქმას სდებს გამსჭვალული,
რომ მათ მიჰბაძოს, მათ მიემსგავსოს,
და მით თავის მხრით, თავისად წილად,
დღევანდელ ქალთა ნაკლი შეავსოს?

ნეტავ თუ მართლა? მაშინ ხომ მეცა
მის წრფელ განზრახვებს მივსცემდი ბანსა,
და როგორც სულის, ისე ხორცისაც
მშვენიერებას ვსცემდი თაყვანსა.

მაგრამ ვაი თუ სხვა რამ აღელვებს
და სხვაზედ იყოს დაფიქრებული,
და დღეს, როგორც სხვებს, ისე ამასაც
მხოლოდ საკვითოდ უცემდეს გული?!

მაშინ შორს ჩემგან! შორს!.. შორს, ოცნებავ!
ვერ დამიმონებს მხიბლავი ძალი!..
იქ, სადაც ქართველ ქალს ვერა ვხედავ,
არ მწამს მშვენება და იდეალი!

(1904 წ.)."

პატარა-ცემით და ჩემი სანატორიუმით მოხიბლულ მგოსანს ყოველ ზაფხულს ენატრებოდა ჩემთან ამოსვლა და დარჩენა, მით უფრო რომ იქვე შეხვდებოდა თავის დიდი ხნის მეგობარს მამა ჩემს, რომელთანაც სასიამოვნო საუბრის დროს არ გამოელეოდათ ხოლმე ძველი მოგონების მრავალფეროვანი და საყურადღებო ამბები.

ორი გარემოება იყო, რომელიც ხელს უშლიდა ჩვენს მგოსანს პატარა-ცემში ამოსვლას. იმ ადგილის სიმაღლე 1400 მეტრი არ იყო ძალიან შესაფერისი მისთვის გულის სისუსტის გამო, რომელიც დასჩემდა პოეტს იმ ხანად. თანაც ზაფხულობით ისე კარგად ისვენებდა თავის საყვარელ სოფელში სხვიტორში (საჩხერეს გვერდითაა), რომ წასვლა არსად არ უნდოდა. ამასობაში რამოდენიმე წელიწადმაც განვლო და მხოლოდ 1910 წ. ზაფხულის მიწურულში გვეწვია თავის მეუღლითა და შვილით.

ეს იყო უკანასკნელი მოსვლა ჩვენი ძვირფასი მგოსნისა ჩემს სანატორიუმში. ისე-კი მას ძალიან მოსწონდა ეს საქმე და მუდამ თვალყურს ადევნებდა მის განვითარებას. მოსწონდა ეს ახალი საშუალება ჯანმრთელობის აღსადგენად დასახული და დაუმატებდა ხოლმე: „დარწმუნებული ვარ ეგ საქმე კარგ ნაყოფს გამოიღებს: მამაც და ძეც ერთად და მარჯვედ მუშაობთ საკეთილო საქმეზე და სული წმინდაც ზევიდან დაგტრიალებსთ, მეტი რაღაა საჭირო".

როგორც მოვიხსენიეთ, ბევრმა ჩვენმა მოღვაწემ გამოიყენა პატარა ცემის წყალობით შეძენილი ჯან-ღონის მარაგი. საჭიროა უთუოდ, რომ თვითეულმა როგორმე წერილობით აღნიშნოს თავის მოგონებაში, როგორ გამოადგათ მათ პატარა-ცემის ბუნებრივი და იშვიათი პირობები ჯანის მოსაღონიერებლად, რომ ეს ცნობები გადაეცეს მომავალს, წარსულის დასახასიათებლად. ხოლო ვინც უცხოეთშია, ისინი ალბათ თვითონ მომაწვდენენ გამოსასვლელ კრებულში მოსათავსებლად.

სანატორიუმის დღიურში ბევრმა იქ ნამყოფმა მოათავსა ლექსები და შენიშვნები, რომელთა გამოქვეყნებას ადვილად მოახერხებდა ადამიანი, რომ ასე ძალიან არ იყოს გაძვირებული ქართული ბეჭდვითი საქმე საფრანგეთში..."

• • •

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1946 წლის 16 იანვარს ვახტანგ ღამბაშიძეს ხელნაწერის სახით უკვე დაუმთავრებია მოგონებათა ვრცელი წიგნი, რომლის წინასიტყვაობა დაბეჭდილია პარიზში, ჟურნალ „ერის დიდების" 1958 წლის №5-ში (გვ. 49-52). მოვიყვანთ ერთ ადგილს აღნიშნული „წინასიტყვაობიდან", რომელიც ნათლად გვითვალისწინებს ავტორის მაღალ პატრიოტულ შეგნებასა და მოგონებათა ამ წიგნის მიზანდასახულებას, აგრეთვე, მის მხატვრულ-ენობრივ მხარესაც:

„ამ დღიურის წერას მავალებს ჩემი ხანგრძლივი არსებობა ამ ქვეყნად და თანაც ის გარემოება, რომ ჩვენ ყველანი შვილნი ვართ პატარა და ძვირფასი საქართველოსი, სადაც პირადად მე განვლე შეგნებული არსებობის ნახევარი საუკუნე, სადაც ყოველ დღე ჩაბმული ვიყავი მის ხილვაში, გრძნობაში და საზოგადო ცხოვრების მაჯისცემის თვალყურის დევნებაში, სადაც საერთო მწუხარებას ვიზიარებდი სამშობლოს ტანჯვისას ყველა შეგნებულ ქართველთან ერთად და სადაც აგრედვე ვმხიარულებდი საერთო მისი სამხიარულო წუთების განცდის დროს... ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ იმას, რომ საქართველომ, სადაც ჩვენ აგვხილა ჯერ ბავშვობის და მერე შეგნებული ცხოვრების თვალი, გაგვხადა იმათ, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ.

პირველი სათავე ხომ ჩვენი მშობლები არიან, რომელთაც გადმოგვცეს შთამომავლობით, საშვილიშვილოდ მომავალი ძალა და შინაგანი არსის შემადგენლობა — რასაც ვერ დავივიწყებთ და მთელს სიცოცხლეს გულის სიღრმეში ვინახავთ, როგორც წმინდა და ფაქიზ გრძნობას. და მეორე სათავე, ჩვენი მასულდგმულებელი, ხომ ჩვენი კეკლუცი სამშობლოა, რომლის წიაღზედაც აღვიზარდეთ და დავვაჟკაცდით. სამშობლოს ლამაზი სანახაობა, ბუნების წარმტაცი სურათები — ეს ხომ ჩვენს არსებაში სამუდამო სახებად არის აღბეჭდილი! მისი მზის განსაკუთრებული სხივოსნობა ხომ ღრმად არის ჩანერგებული ჩვენს არსებაში! მისი წყლების შხუილი, მოკამკამე წყაროების დენა და ჩანჩქერის ჩხრიალი ხომ სამუდამოდ ესმაურება ჩვენს ყურთა-სმენას! მისი ცადაწვდილი ყინულიანი მთები, ამომავალი მზის სხივებზე საოცნებოდ მოლაპარაკე, ვისაც კი ეს უნახავს და საერთოდ მთები, ხევები, ჭალები, ზღვის პირი და ჩვენი ყოველი კუთხის უხვი ბუნების სანახაობა მუდამ თვალწინ გვიდგას აქაც — კი, ამდენი ხნის სამშობლოდან მოწყვეტილებს!.. ჩვენ ხომ ანარეკლი ვართ ამ დიდებული სანახაობის, ჩვენ ხომ ნაწილი ვართ განუშორებელი ყველაფრის ამის, უტყუარი და თანშეზრდილი... დიდებული სანახაობა, ჩვენი წარსულის მკაფიოდ გამომსახველი, ზოგი გადარჩენილი, ზოგიც კი მტრისგან დანგრეული, განა ეხლაც არ გვიდგია თვალწინ! შესანიშნავ წინაპართა და ყველა განთქმულ მამულიშვილთა საფლავები, ზოგი დაკარგული და ზოგიც გადარჩენილი, განა ძვირფასი ძეგლები არ არიან ჩვენი ეროვნული გრძნობის გასაღვივებლად!..

...მე მგონია, ყოველი შეგნებული ქართველის მოვალეობაა სამაგიერო გადაუხადოს თავის ქვეყანას, ერს და თაოსნებს. ყველამ, ვინც განვიცადეთ შეგნებულად და ღირსეულად ჩვენი სამშობლოს ვითარება და ვინც ვატარებთ მისი შვილის სახელს, ვალდებულნი ვართ შევიტანოთ მის სალაროში ჩვენი ცხოვრების და გრძნობის კვალი. ეხე იგი არ დავემსგავსოთ უმადურ ადამიანს, რომელმაც უზენაესისაგან ბოძებული ქანქარი მიწაში ჩაფლა... თვითეულს ჩვენგანს ბევრი რამე გვაქვს ნახმენი-ნახული და ცოტა რამ გაკეთებულიც. ყველაფერი ეს არ უნდა დაიკარგოს უკვალოდ. კაცობრიობა წარსულის მოგონებითაც ცხოვრობს!.."



სურათებზე: აკაკი წერეთელი (ნაკლებად გავრცელებული სურათი); ვახტანგ ღამბაშიძე; ვახტანგ ღამბაშიძის მიერ დაარსებული საბავშვო სანატორიუმი ცემში.

---

# უცხოეთში

6 აპრილი

**ექო**

## ახალი ეტაპის დასაწყისი

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის კუბაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები, სსრ კავშირისა და კუბის ხელმძღვანელების გამოსვლები ეროვნულ ასამბლეაზე ჰავანაში — საზღვარგარეთის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომენტარების მთავარი თემაა.**

**ჰავანა.** მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს ფართოდ აშუქებს კუბის პრესა. **პრენსა ლატინას საინფორმაციო სააგენტო** აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-კუბის უმაღლესი დონის მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულთბილობისა და გულწრფელობის ვითარებაში, რომელიც მაშინვე შეიქმნა, როგორც კი საბჭოთა ხელმძღვანელმა ფეხი დაადგა თავისუფლების კუნძულის მიწას. მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი მიმდინარეობდა გულითად და ნამდვილად ოჯახურ ატმოსფეროში, აღნიშნავს სააგენტო. გამოჩენილი უცხოელი სახელმწიფო მოღვაწე პირველად გამოვიდა კუბის პარლამენტის ტრიბუნიდან, რათა მიემართა არა მარტო დეპუტატებისათვის, არამედ ქვეყნის მთელი ხალხისთვისაც. ვიზიტის დროს ხელმოწერილი სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, აღნიშნავს პრენსა ლატინა, ადასტურებს მათ შორის არსებული ურთიერთობის მაღალ დონეს. ეს ორმხრივი თანამშრომლობის ისტორიაში პირველი ამგვარი დოკუმენტია, რომელიც აგრეთვე გამსჭვალულია მშვიდობისა და განიარაღებისათვის ერთობლივი ბრძოლის სულისკვეთებით. მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ამავე დროს იმ ახალი სიოს გამოხატულებაც არის, რომელმაც დაჰბერა სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში. ეს არის ერთმანეთის უდიდესი პატივისცემა, თითოეული ქვეყნის უფლება ახორციელებდეს განვითარების თავის ფორმულებს ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტი კუბაში უდიდესი მოვლენაა როგორც ორმხრივ ურთიერთობაში, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით.

**მანაგუა.** საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტს კუბაში ისტორიული მნიშვნელობა აქვს მთელი ლათინური ამერიკის კონტინენტისათვის, განაცხადა ნიკარაგუის შინაგან საქმეთა მინისტრმა **თომას ბორხემ**. მისი თქმით, ეს ვიზიტი შეიძლება გახდეს ახალი ეტაპის დასაწყისი საბჭოთა კავშირისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. პოზიცია, რომელსაც სსრ კავშირი დაადგა ცენტრალურ ამერიკაში მდგომარეობის მოწესრიგების პრობლემის მიმართ, უეჭველად ხელს შეუწყობს მშვიდობის დამყარებას ამ რეგიონში და იქ მდებარე ქვეყნების ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფას.

ნიკარაგუის რადიოსადგურმა **„რადიო სანდინომ"** აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება განამტკიცებს ორი ქვეყნის ურთიერთობას. იქ დადასტურებულია და ფართოვდება ჰავანისა და მოსკოვის ურთიერთობა. იგი ემყარება თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის აღიარებას.

**პარიზი.** პარიზის **„ლუმანიტე"** ყურადღებას მიაპყრობს შესანიშნავ კლიმატს, რომელიც სუფევდა საბჭოთა კავშირ-კუბის მოლაპარაკებაზე. საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტი, წერს გაზეთი, ადასტურებს ორი ქვეყნის თანამშრომლობის ხელსაყრელ პერსპექტივებს.

**ვაშინგტონი.** „ისინი, ვინც მოელოდა, რომ ჰავანაში ერთმანეთს შეეჯახებოდა საბჭოთა კავშირისა და კუბის პოზიციები, იმედგაცრუებული დარჩნენ, — აღნიშნა ამერიკის ეი-ბი-სი ტელეკომპანიამ. — არაფერი მსგავსი არ მომხდარა. მ. ს. გორბაჩოვმა და ფ. კასტრომ დაადასტურეს ურთიერთმეგობრობა". განმარტავს რა სსრ კავშირისა და კუბის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, ეი-ბი-სი ტელეკომპანია აღნიშნავს, რომ იგი თავისებური სიგნალია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის იმ მხრივ, რომ საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობა ისევე მტკიცე დარჩება, როგორც წინათ იყო.

როგორც პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა გააკეთეს განცხადებანი, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ ჯერ არ შეუსწავლიათ კუბის ეროვნულ ასამბლეაში მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის ტექსტი და გარკვევით ვერაფერს იტყვიან მის გამო.

**პრაღა.** „კუბა სიმპათიით ადევნებს თვალს სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნას, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველი ქვეყანა უნდა ითვალისწინებდეს საკუთარ პირობებს, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ წყობილებას, არსებულ გამოცდილებას, — წერს ჩეხოსლოვაკიის **„რუდე პრავო"**. — სხვისი მოდელების უაზრო გადაღებამ წარსულში დიდი ზიანი და მრავალი სიძნელე მოგვიტანა".

**ბუდაპეშტი.** განმარტავს რა მ. ს. გორბაჩოვისა და ფ. კასტროს მოლაპარაკებას, უნგრული **„ნეპსავა"** აღნიშნავს: ორი ხელმძღვანელის აზრი ერთნაირია იმ მხრივ, რომ სოციალიზმი მიუახლოვდა თავისი განვითარების უაღრესად პასუხსაგებ ეტაპს. საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობის მიმართულებათა განსაზღვრისას მათ ყურადღება გაამახვილეს მისი ეფექტიანობის გადიდებაზე, წერს გაზეთი.

● პოლონეთი

## მიიღეს კომუნიკე

**ვარშავა. პოლონეთის დედაქალაქში ოთხშაბათს გვიან საღამოს დამთავრდა „მრგვალ მაგიდასთან" მოლაპარაკების საბოლოო პლენარული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ მთავრობის კოალიციის, პროფკავშირებისა და კონსტრუქციული ოპოზიციის წარმომადგენლები.**

ორი თვის მანძილზე „მრგვალი მაგიდის" სამუშაო ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში იხილავდნენ პოლონეთის მომავლისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ დარგებში რეფორმების განხორციელებასთან.

სხდომის დასასრულს მისმა მონაწილეებმა მიიღეს კომუნიკე, რომელშიც მოიწონეს საპრობლემო ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მუშაობის დროს მიღწეული მორიგებანი და გამოხატეს ნება ერთად იმოქმედონ ამ მორიგებათა განხორციელებისათვის.

◆ ჰაიტი

## გამოცხადდა საგანგებო წესები

**ნიუ-იორკი. ჰაიტის მთავრობამ ოთხშაბათს გამოაცხადა საგანგებო წესები ქვეყანაში, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტო პორტ-ო-პრენსიდან.** არმია საბრძოლოდ არის გამზადებული, შემოღებულია ბეჭდვითი სიტყვის ცენზურა.

აღნიშნული ზომები მას შემდეგ მიიღეს, რაც მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ გამოსულმა „დესალინის" ბატალიონის ამბოხებულებმა რადიოთი მოითხოვეს პრეზიდენტ პროსპერ ავრილის გადადგომა. მათ პრეზიდენტს დააკისრეს პასუხისმგებლობა ოთხი ამბოხებული ჯარისკაცის დაღუპვისათვის.

რამდენიმე დღის წინათ ჰაიტში აგრეთვე „დესალინის" და „ლეოპარდის" რჩეული ბატალიონების მხარდაჭერით სცადეს გადატრიალება. იგი ჩაეხშო პრეზიდენტის გვარდიამ.

● აშშ-ისრაელი

## მოლაპარაკების მეორე რაუნდი

**ვაშინგტონი. ვაშინგტონში გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტად ჩამოსული ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ შამირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის მოლაპარაკება.**

შეხვედრა მიმდინარეობდა ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მიერ ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების პრობლემებზე ინტენსიური კონსულტაციების დაწყების ფარგლებში. მათი პირველი რაუნდი იყო ორშაბათსა და სამშაბათს გამართული ამერიკის დედაქალაქში ჩამოსული ეგვიპტის პრეზიდენტის მუბარაქისა და ბუშის, შემდეგ კი ბეიკერის მოლაპარაკება. მესამე რაუნდი დაიწყება 17 აპრილს, როცა ვაშინგტონს ეწვევა იორდანიის მეფე ჰუსეინი.

### ტელეტაიპის ლენტიდან

⊙ **მანაგუა.** ნიკარაგუის ატლანტის სანაპიროს ინდიელთა თემების რელიგიურმა მოღვაწეებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს გაუგზავნეს წერილი, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, შეწყდეს ჩარევა რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

⊙ **ტოკიო.** ტემპერატურა დედამიწაზე საშუალოდ 1,5-3,5 გრადუსით მოიმატებს 2030-იან წლებში. ასეთი პროგნოზი შეიტანა იაპონიის მეტეოროლოგიურმა სამმართველომ „უჩვეულო ამინდის თეთრ წიგნში". იაპონიის კუნძულებზე, როგორც ამ მოხსენებაშია აღნიშნული, ტემპერატურა შეიძლება გაიზარდოს 6-8 გრადუსით 40 წლის შემდეგ.

ფაქტი • მოვლენა • კომენტარი

# ამაგდარი

**ჩვენს** დედაქალაქში ბევრი სახელოვანი მესტამბე ცხოვრობს და მოღვაწეობს. მათ შორის არის შალვა ნივნივაძე, რჩეული ასოთამწყობი, სიკეთით სავსე კაცი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი. მას პირველად ოცდაათიანი წლების დასაწყისში შევხვდი „კომუნისტის“ რედაქციაში მუშაობისას. გამაცნო იგი გაზეთის მაშინდელმა რედაქტორმა ნიკო კიკნაძემ: ერთ-ერთი პირველი ლინოტიპისტია ჩვენშიო, — მითხრა. ის იმ ხანად უკვე სტამბის დირექტორი გახლდათ, მე კი — ახალბედა ჟურნალისტი, რედაქციის განყოფილების გამგე ვიყავი. გამიკვირდა, ახალგაზრდა კაცი „მრისხანე გამოხედვის“ ნიკო კიკნაძეს თამამად როგორ ელაპარაკებოდა. ეს შეხვედრა დღემდის ჩამრჩა მეხსიერებაში. მას შემდეგ, აგერ ორმოცდათხუთმეტ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს. აქედან მოყოლებული თვალყურს ვადევნებ ხოლმე შალვა ნივნივაძის საქმიანობას. მეცხრე ათეულს მიღწეული კაცი, შვილებით, შვილიშვილებით, მეგობრებით გარემოსილი, დღესაც გატაცებით უძღვება მინდობილ საქმეს.

შალვა ნივნივაძე ქართული საბჭოური პოლიგრაფიის ერთ-ერთი პირველი ჯარისკაცია. საკვირველი ამბებითაა სავსე მისი თავგადასავალი. ესაა ბიოგრაფია უმწიკვლო მამულიშვილისა.

ასოთამწყობი ჯადოქარია, ჭეშმარიტი მტვიფრავი ტექსტისა, „თანაავტორი“ ბეჭდური თხზულებისა, რომელიც ავტორის შემდეგ პირველი ხვდება ხოლმე ტექსტს, საპწკრეზე სათუთად გადაიტანს ასონიშნებად სიმბოლირებულ ყოველ სიტყვას, ამოათავებს კასას, ანაწყობს ზონრით შეკრავს და მადლიერი გრძნობით ამოიღებს ანაბეჭდს, რომ ავტორს, კორექტორს წააკითხოს. ასე იყო ადრე. შემდეგ ასოთამწყობის მძიმე შრომა დიდად გაამარტივა ლინოტიპმა და მონოტიპმა. დღეს კი კომპიუტერი სასწაულს ახდენს ტექსტის აწყობის ტექნიკაში. ხელის საპწკარე თუ ლინოტიპმა განდევნა, კომპიუტერი სულ შეცვლის ლინოტიპსაცა და მონოტიპსაც. მაგრამ ასოთამწყობი მაინც დარჩება, თანაც დარჩება არა მხოლოდ ამწყობად, არამედ ტექსტისუფლად. ახდება ის, რაზედაც შ. ნივნივაძე და მისი მეგობრები ოცნებობდნენ.

შალვას მამა, ლეონტი ნივნივაძე რევოლუციონერი იყო. „მამაჩემს სახლში ჰქონდა პატარა სტამბაო, — მოგვითხრობს იგი ავტობიოგრაფიაში, — დროდადრო ბეჭდავდა პროკლამაციებს და ხალხში ავრცელებდა. ამის გამო სისტემატურად ჩხრეკდნენ ჩვენს ბინას პოლიციელები. მაშინ არ მესმოდა მისი არაფერი და არც ვაქცევდი ყურადღებას. პოლიციის მიერ ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი გაჩხრეკვისას, დედაჩემმა ის ტომარა, რომელშიც ანაწყობი და სხვა მოწყობილობა ეწყო, ბუხარში ჩამოკიდა და გადაარჩინაო“... ლეონტი ნივნივაძეს არ აპატიეს ხალხისათვის თავდადება, 1910 წელს პოლიციის ხელით დაიღუპა.

15 წლის შ. ნივნივაძემ 1915 წ. ქუთაისის სტამბაში დაიწყო ასოთამწყობობა. მის კვალს გაჰყვა უმცროსი ძმა — ერასტიც,

## გასაუბრება ღვაწლმოსილ მესტამბესთან

პოლიგრაფიის პირველი ინჟინერი საქართველოში. საგულისხმოა შალვას ერთი მოგონება, რომელიც ეხება 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, მეფის მთავრობის დამხობას. პეტროგრადიდან ქუთაისში დეპეშა მოვიდა: მთავრობაძე გარდაიცვალაო. ტექსტი სასწრაფოდ უნდა აეწყოთ გაზეთისათვის. — „უფროსმა ასოთამწყობმა პეტრე მიქაძემ მითხრა, — გვიამბობს შ. ნივნივაძე, — შენ ყველაზე პატარა ხარ და სწორედ შენ შეგეფერება ამ მასალის აწყობა, არ იცი, დღეიდან რამხელა კაცი იქნებიო“. მეც დიდი მონდომებითა და სიხარულით ავაწყე ეს დეპეშა. მეორე დღეს პატარა ცნობამ მკითხველს დიდი ამბავი აუწყა — რომანოვების დინასტიის დამხობა. ნამდვილად სამახსოვრო ფაქტია.

შალვა ნივნივაძე წლების განმავლობაში მუშაობდა ივანე კილაძის კერძო სტამბაში ქუთაისში. 1917 წლიდან პროფკავშირის წევრია, 1924 წლიდან — ბოლშევიკური პარტიის წევრი, 1925 წელს გადმოვიდა თბილისში და „კომუნისტის“ სტამბას მიაშურა. აქ, დაოსტატებული პოლიგრაფისტი მალე გახდა სტამბის დირექტორი, „კომუნისტის“ გამომცემლობის დირექტორის მოადგილე. ხვდებოდა რედაქტორებსა და ავტორებს, იმ ხანებში საქართველოში პირველად შემოიტანეს ლინოტიპი. შალვამ მალე აითვისა ეს რთული მანქანა და მრავალ ახალგაზრდასაც შეასწავლა მისი მართვა. აღზარდა პირველ ლინოტიპისტთა მთელი პლეადა. 1931 წლიდან შალვა „კომუნისტის“ სტამბის დირექტორი იყო, მოგვიანებით სათავეში ედგა მწერალთა კავშირის სტამბასაც. როცა მრისხანე ომმა მშვიდობიანი ცხოვრება შეწყვიტა, შალვა ნივნივაძე ფრონტზეა, ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის და სამხრეთის ფრონტების სტამბებს. დემობილიზაციის შემდეგ, პენსიაზე გასვლამდის, „კომუნისტის“ (ახლანდელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კომბინატის) დირექტორია.

ნივნივაძეების გვარსა და დიდ ოჯახში მესტამბეთა რამდენიმე თაობა აღიზარდა: ძმები შალვა და ერასტი, შალვას შვილები: ნუნუ, ლეონტი, ვალერი, ერასტის შვილი — თენგიზი და რძალი ნელი მახარაძე, შალვასა და ერასტის დისწულები: თენგიზ, კარლო და ფრიდონ ბილიხოძეები.

შ. ნივნივაძეს ხშირად ნახავთ ჩვენს სტამბებში, სადაც ეგულება მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები. ხარობს მათი წარმატებებით. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო ვეტერანის კიდევ ერთი გატაცება: შალვა ნადირობისა და თევზაობის საოცარი ტრფიალია, მინიჭებული აქვს — დამსახურებული მონადირის საპატიო წოდება. ყოველ შაბათ-კვირას ფონიჭალაში ნახავთ სანადიროდ და სათევზაოდ აღკაზმულს. ჭარმაგი კაცი ყველაფერს ასწრებს. აქტიურად მონაწილეობს მონადირეთა კავშირის საქმიანობაში, შრომის, პარტიის, კომკავშირის ვეტერანთა საბჭოებში. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენებითა და 13 მედლით. მიღებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საკავშირო ალკკ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტების საპატიო სიგელები, გამოცხადებული აქვს მრავალი მადლობა. იგი საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია.

...ქუჩაზე მიიჩქარის თმაჭაღარა კაცი. ღიმილით ესალმება ნაცნობებს. ყველას გულითადად მოიკითხავს, მუდამ მოუცლელია. აბა, სად არ ელოდებიან!

**ალ. ღლონტი.**

პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე.

## 7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა

# თვალს სინათლე უბრუნდება





**სამწუხაროა** იმათი ბედი, ვისაც თვალის სინათლე აკლია. ადამიანი ვერ აღიქვამს გარემოს, მის სილამაზეს, ფორმებს, მოძრაობას.

— მაგრამ უბედურების თავიდან აცილება შეიძლება, — ამტკიცებს ტარსაიძის სახელობის თვალის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი გიორგი ჩიქოვანი. — დღეს თვალის დაავადებით დასნეულებული ათიდან ცხრა ადამიანი შეიძლება გადავარჩინოთ სიბრმავისაგან. საბჭოთა მედიკოსების მიერ გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგად რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, სამუდამოდ მოეღო ბოლო ტრაქომას, სხვა ინფექციურ სნეულებებს, რომლებსაც სიბრმავე მოსდევდა.

რესპუბლიკის მეთაურ ოფთალმოლოგიურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მაღალ მეცნიერულ-პრაქტიკულ დონეზე წყდება თვალის სნეულებით დაავადებულ ადამიანთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები.

მსოფლიო ოფთალმოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა გლაუკომა, რომელიც განსაკუთრებით საშიშია მოზრდილთათვის. დაავადების დაგვიანებით გამოვლენას შეიძლება სიბრმავე მოჰყვეს. ეს რომ არ მოხდეს, კლინიკური საავადმყოფო სისტემატურად აწყობს მოსახლეობის პროფილაქტიკურ შემოწმებას. საავადმყოფოს გლაუკომის განყოფილებაში შემუშავებულია და ფართოდ იყენებენ სენის ქირურგიული მკურნალობის ახალ მეთოდებს, — აგრძელებს გ. ჩიქოვანი.

უკვე მეორე წელია ჩვენში წარმატებით აკეთებენ სპეციალური აპარატურის დახმარებით შორსმხედველობის მკურნალობის ოპერაციას. ეფექტიანად ებრძვიან სიბეცეს მიკროქირურგიული განყოფილების ბაზაზე შექმნილ კერატორიის ცენტრში, სადაც უკვე 1.500-ზე მეტი ოპერაცია გაკეთდა. ქართველი ექიმები იყენებენ პრინციპულად ახალ მეთოდს, რომელიც გამოჩენილმა საბჭოთა ოფთალმოლოგმა ს. ფიოდოროვმა შეიმუშავა.

**სურათებზე:** თვალის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი გიორგი ჩიქოვანი და თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ოფთალმოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ივა ბერაძე; თვალის საავადმყოფოს შენობა; ექოგრაფიას ატარებს ექიმი მანანა სულაძე.

საქინფორმის ფოტო.



## 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სესხის

ქალაქ ბრესტში 1989 წლის ... [illegible] ... მოგებების ტირაჟის შედეგად მოგება ხვდა ... [illegible]

| ობლიგაციის № | სერიის № | მოგება მანეთობით | ობლიგაციის № | სერიის № | მოგება მანეთობით | ობლიგაციის № | სერიის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 200083 | 029*) | 500 | 236592 | 063*) | 500 | 265439 | 034*) | 1000 |
| 200343 | 058*) | 500 | 237868 | 042*) | 500 | 265515 | 026*) | 1000 |
| 200541 | 093*) | 1000 | 238425 | 1—100 | 250 | 266359 | 084*) | 1000 |
| 201381 | 1—100 | 100 | 240195 | 024*) | 2500 | 266778 | 1—100 | 250 |
| 201536 | 022*) | 500 | 240351 | 046*) | 500 | 266969 | 097*) | 500 |
| 201856 | 074*) | 2500 | 240864 | 1—100 | 100 | 267170 | 1—100 | 250 |
| 202171 | 041*) | 500 | 241726 | 061*) | 1000 | 267216 | 061*) | 1000 |
| 202233 | 1—100 | 100 | 242371 | 063*) | 2500 | 267278 | 045*) | 500 |
| 202808 | 091*) | 500 | 242904 | 1—100 | 100 | 267476 | 037*) | 2500 |
| 203207 | 1—100 | 250 | 243378 | 1—100 | 250 | 268514 | 1—100 | 250 |
| 203251 | 051*) | 500 | 243606 | 1—100 | 250 | 268581 | 069*) | 10000 |
| 203396 | 1—100 | 100 | 244147 | 029*) | 1000 | 268814 | 061*) | 1000 |
| 203803 | 079*) | 1000 | 244814 | 088*) | 500 | 269230 | 080*) | 1000 |
| 203819 | 090*) | 2500 | 245037 | 1—100 | 250 | 271307 | 1—100 | 250 |
| 204316 | 018*) | 1000 | 245422 | 1—100 | 250 | 271363 | 046*) | 1000 |
| 205035 | 023*) | 500 | 245475 | 089*) | 500 | 272211 | 1—100 | 250 |
| 205278 | 091*) | 1000 | 245533 | 052*) | 1000 | 273105 | 088*) | 2500 |
| 207315 | 1—100 | 250 | 247133 | 1—100 | 250 | 273553 | 042*) | 2500 |
| 207690 | 1—100 | 250 | 247210 | 1—100 | 100 | 275004 | 062*) | 1000 |
| 208219 | 064*) | 1000 | 247671 | 003*) | 500 | 275488 | 011*) | 2500 |
| 208880 | 025*) | 1000 | 247878 | 017*) | 1000 | 275647 | 1—100 | 100 |
| 209366 | 083*) | 500 | 247987 | 1—100 | 250 | 276677 | 079*) | 5000 |
| 209566 | 1—100 | 250 | 248088 | 091*) | 1000 | 276863 | 061*) | 1000 |
| 209855 | 1—100 | 100 | 248553 | 098*) | 1000 | 277568 | 1—100 | 100 |
| 210621 | 1—100 | 250 | 248855 | 098*) | 1000 | 278068 | 092*) | 1000 |
| 212252 | 1—100 | 250 | 249288 | 1—100 | 250 | 278696 | 070*) | 1000 |
| 213685 | 1—100 | 250 | 249444 | 1—100 | 250 | 278722 | 1—100 | 100 |
| 213943 | 1—100 | 100 | 250215 | 009*) | 1000 | 278790 | 030*) | 500 |
| 214912 | 1—100 | 250 | 250286 | 002*) | 1000 | 280441 | 083*) | 1000 |
| 215088 | 1—100 | 100 | 250435 | 003*) | 500 | 280487 | 098*) | 1000 |
| 215245 | 1—100 | 250 | 250698 | 1—100 | 250 | 280658 | 030*) | 500 |
| 215652 | 019*) | 500 | 251837 | 1—100 | 100 | 281101 | 1—100 | 250 |
| 217606 | 1—100 | 250 | 252231 | 051*) | 1000 | 281263 | 036*) | 2500 |
| 218136 | 043*) | 1000 | 252247 | 039*) | 5000 | 281582 | 037*) | 500 |
| 219757 | 031*) | 1000 | 252478 | 002*) | 500 | 282825 | 080*) | 2500 |
| 219900 | 1—100 | 250 | 252905 | 054*) | 500 | 284064 | 035*) | 500 |
| 219938 | 1—100 | 250 | 253163 | 081*) | 1000 | 284338 | 049*) | 1000 |
| 221263 | 028*) | 500 | 253478 | 1—100 | 250 | 284502 | 099*) | 1000 |
| 221435 | 081*) | 1000 | 253630 | 1—100 | 100 | 285090 | 1—100 | 250 |
| 222706 | 1—100 | 250 | 254024 | 028*) | 1000 | 285453 | 1—100 | 250 |
| 222750 | 002*) | 1000 | 254144 | 1—100 | 250 | 286731 | 1—100 | 250 |
| 222979 | 1—100 | 250 | 254449 | 1—100 | 100 | 286945 | 1—100 | 250 |
| 223496 | 1—100 | 250 | 254556 | 1—100 | 100 | 287738 | 012*) | 1000 |
| 223597 | 051*) | 1000 | 254565 | 1—100 | 100 | 288401 | 009*) | 500 |
| 223652 | 049*) | 2500 | 255345 | 096*) | 1000 | 288549 | 1—100 | 250 |
| 224073 | 1—100 | 100 | 255388 | 1—100 | 100 | 288756 | 055*) | 500 |
| 224773 | 024*) | 500 | 255705 | 1—100 | 100 | 289073 | 081*) | 1000 |
| 225885 | 020*) | 1000 | 256051 | 057*) | 500 | 289759 | 081*) | 500 |
| 226413 | 018*) | 5000 | 256525 | 1—100 | 100 | 290442 | 020*) | 500 |
| 227097 | 015*) | 500 | 257671 | 022*) | 1000 | 291173 | 088*) | 1000 |
| 227232 | 004*) | 500 | 258315 | 1—100 | 100 | 291457 | 061*) | 1000 |
| 227449 | 037*) | 500 | 258484 | 009*) | 500 | 291782 | 004*) | 1000 |
| 228332 | 053*) | 2500 | 258500 | 060*) | 1000 | 291787 | 004*) | 1000 |
| 228933 | 022*) | 1000 | 258884 | 1—100 | 100 | 292622 | 1—100 | 100 |
| 230063 | 1—100 | 250 | 259426 | 071*) | 1000 | 293269 | 1—100 | 250 |
| 230863 | 064*) | 1000 | 260275 | 1—100 | 250 | 294459 | 1—100 | 100 |
| 231262 | 001*) | 1000 | 260927 | 066*) | 1000 | 294938 | 019*) | 1000 |
| 231521 | 015*) | 1000 | 261555 | 1—100 | 250 | 294762 | 1—100 | 100 |
| 231661 | 068*) | 500 | 262010 | 1—100 | 250 | 296497 | 1—100 | 250 |
| 234641 | 1—100 | 250 | 262504 | 046*) | 1000 | 297472 | 049*) | 500 |
| 234720 | 016*) | 500 | 262538 | 062*) | 500 | 297938 | 1—100 | 100 |
| 234871 | 019*) | 1000 | 263090 | 043*) | 1000 | 298261 | 027*) | 500 |
| 234898 | 059*) | 500 | 263163 | 047*) | 500 | 298465 | 066*) | 500 |
| 235346 | 004*) | 500 | 263385 | 035*) | 1000 | 299880 | 1—100 | 100 |
| 235556 | 017*) | 2500 | 264032 | 014*) | 1000 | 299998 | 1—100 | 250 |
| 236259 | 064*) | 1000 | 264089 | 036*) | 1000 | | | |
| | | | 265025 | 1—100 | 100 | | | |
| | | | 265030 | 080*) | 2500 | | | |

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 99 ნომერს ხვდა 100 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ახმანეთიან ობლიგაციებზე 100, 250, 500 მანეთის თანაბარი ოდენობით მოგების შემთხვევაში მოგებული სერიის ყველა ნომერზე შესაბამისად გაიცემა 200, 500 და 1000 მანეთი. ასმანეთიანი ობლიგაციის ერთ-ერთ ნომერზე 500, 1000, 2500, 5000 და 10.000 მანეთის მოგების შემთხვევაში მეორე ნომერზე მოგება იქნება 100 მანეთი და ობლიგაციაზე შესაბამისად გაიცემა 600, 1100, 2600, 5100 და 10.100 მანეთი. 25-მანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა ორმოცდაათმანეთიან ობლიგაციაზე მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებანი მოგებას გასცემენ დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ქალაქ ბრესტის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. პ. პიროგოვსკაია, კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ა. პრიტკოვა.

# მიტინგი გრძელდება

**თბილისში,** მთავრობის სასახლესთან გამართულ მიტინგზე ჩვენი კორესპონდენტები ესაუბრნენ რამდენიმე მონაწილეს.

**გურამ ქართველიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი:** რა თქმა უნდა, არ შეიძლება, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებისადმი გულგრილი დავრჩეთ. როგორც მოქალაქე და ისტორიკოსი, მხარს ვუჭერ მიტინგის მონაწილეთა ერთსულოვან უარყოფით დამოკიდებულებას ზოგიერთი აფხაზი ექსტრემისტის კონსტიტუციის საწინააღმდეგო და გაუგებარი მოთხოვნისადმი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლის შესახებ. ამასთან, ჩემი ღრმა რწმენით, პროტესტის ეს დემონსტრაცია არ უნდა ასცდეს თავის მიზანს. ვთვლი, რომ აქ წარმოდგენილი ყველა ლოზუნგი და მოწოდება არ ემსახურება საერთო აზრის შემუშავებას, არადა, ეროვნული ენერგია დღეს მუშტივით უნდა იყოს შეკრული.

**თენგიზ ქასრაძე, „კავკვირაბმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ოსტატი:** ექსტრემისტული გამოხდომები ერთხელ და სამუდამოდ უნდა აილაგმოს, მაგრამ ექსტრემიზმს ექსტრემიზმით ვებრძოლოთ?! არ არის მოსაწონი, რომ ხანდახან ანტისაბჭოური ლოზუნგები გამოჩნდება ხოლმე და გარდაქმნის სტრატეგიასაც ვერ აღიქვამენ ისე, როგორც ჯერ არს. ბრმა უნდა იყო კაცი, რომ ვერ დაინახო განსხვავება დღევანდელ და თუნდაც ოთხი-ხუთი წლის წინანდელ ვითარებასა და ხელისუფლებას შორის. ამიტომ მიმაჩნია მიუღებლად, მიტინგის ზოგიერთი ლოზუნგი და მოწოდება.

**ზურაბ გვაზავა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სტამბის დირექტორი:** ჩვენ ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ უნდა აგვემაღლებინა ხმა, როდესაც წამქეზებლებმა აფხაზეთში გაშლილი ფრონტით წამოიწყეს ანტიქართული მოძრაობა. გვიანი არც დღეს არის. მაგრამ, იცით რა, ზომიერება არ უნდა დავკარგოთ.

ნებისმიერი საზოგადოებრივი პროცესი, თუ იგი უმართავი გახდა, ანარქიად იქცევა და რაგინდ კარგი დასაწყისიც ჰქონდეს, უმართაობის გამო, შეიძლება მასობრივ ფსიქოზში გადაიზარდოს. და აი, ვშიშობ, ეს პროტესტი უმართავი გზით არ დაექანოს.

ვესაუბრეთ მიტინგის სხვა მონაწილეებსაც, კერძოდ, **სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთეკურსელებს თამილა ჩხაიძესა და მაია ვარდანაშვილს,** რომელთა აზრით, სამწუხაროდ, იქ წარმოდგენილი ლოზუნგები, ზოგიერთი ორატორის გამოსვლა და მოწოდება მართებულია და შეესატყვისება მიტინგის იდეასა და მიზანს, მონაწილეთა საერთო სულისკვეთებას გამოხატავს.

ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა შიმშილი გამოაცხადა.

„კომუნისტის“ კორესპონდენტები.

# საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

**გარდაქმნისა** და დემოკრატიზაციის მიმდინარე პროცესებმა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს მრავალი ახალი პრობლემის გადაჭრა დააკისრა. ცხადია, ამის კვალობაზე ახლებურად უნდა წარიმართოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი საქმიანობაც.

გუშინ, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში თავი მოიყარეს პრესის, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გულახდილად იმსჯელეს მათთვის მეტად საჭირბოროტო საკითხებზე. კერძოდ, მოითხოვეს, რომ უფრო ფართოდ გაშუქდეს აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობაც და სხვა მოვლენებიც, ასე რომ აწუხებს ჩვენს საზოგადოებრიობას; არის შემთხვევები, როდესაც ზოგჯერ დაუსაბუთებლად იზღუდება მოქმედ ჟურნალისტთა ინიციატივა. შეკრებილებმა არაერთი საინტერესო წინადადება წამოაყენეს. ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებმა აღძრეს ქართული ჟურნალისტიკის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი.

ლონისძიებების შემუშავების მიზნით გადაწყდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.



# სცენაზეა ქალთა ცხოვრება

### ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის პრემიერა

**ახალგაზრდა** დრამატურგის შადიმან შამანაძის პიესა „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“ ფსიქოლოგიური დრამაა, რომელშიც აღწერილია ოთხი ქალის ცხოვრების ერთი დღე.

პიესის სწორედ ფსიქოლოგიურმა მხარემ დააინტერესა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი, როცა გადაწყვიტა მისი დადგმა; მაყურებელმა ამ დღეებში ნახა პრემიერა.

დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლევან ხვანაძემ, მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ჯეირან ფაჩუაშვილმა, მუსიკა ეკუთვნით ლევან ხვანაძეს და კახაბერ გოგოლაშვილს, ქორეოგრაფია ლია არჩნაძე. როლებს ასრულებენ მსახიობები: დოდო ტაბატაძე (დარეჯანი), ნინო ექიბია (თამრიკო), ნატო ნოსელიძე (თიკა), დალი ბასილაძე (ქეთი).

პრემიერამ ქუთათურთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

**სურათზე:** სცენა სპექტაკლიდან „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“.

თემურ ჯაჯანაძის ფოტო.

## სპორტის ამბები

ჭადრაკი

# „ოსკარი“ კასპაროვსა და პოლგარს

1988 წლის საჭადრაკო „ოსკარი“ მიენიჭათ მსოფლიო ჩემპიონს გარი კასპაროვსა და 12 წლის უნგრელ მოჭადრაკეს იუდით პოლგარს. ასეთია საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მოწყობილი ტრადიციული გამოკითხვის შედეგები.

ვაჟთა შორის ანკეტებში დასახელებული იყო 88 მოჭადრაკე. კასპაროვმა 592 ქულა მოაგროვა. შემდეგ მოდიან: ანატოლი კარპოვი — 446, ჯონათან სპილმენი (დიდი ბრიტანეთი) — 327, ნაიჯელ შორტი (დიდი ბრიტანეთი) — 305, ვასილ ივანჩუკი — 199, არტურ იუსუპოვი — 162, ალექსანდრე ბელიავსკი — 158, იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) — 147, იან ტიმანი (ჰოლანდია) — 144, ვალერი სალოვი — 127.

24 მოჭადრაკე ქალთა შორის, როგორც ითქვა, საუკეთესო მაჩვენებელი აქვს იუდით პოლგარს — 519 ქულა. 372 ხმა მიიღო მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ, 333 — ჟუჟა პოლგარმა (უნგრეთი), 300 — პია კრამლინგმა (შვეცია), 283 — ნანა იოსელიანმა.

# კვლავ ლუბოევიჩი ლიდერობს

**ბარსელონაში** მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშებაში კიდევ უფრო დაწინაურდა იუგოსლაველი დიდოსტატი ლუბომირ ლუბოევიჩი. მან მეექვსე ტურში დაამარცხა კუბელი ხესუს ნოგეირასი და ახლა 5 ქულა აქვს. ლიდერს ქულა-ნახევრით ჩამორჩება არტურ იუსუპოვი, რომელსაც ერთი პარტია თადარიგში აქვს. ბოლო ტურში რიბლი დამარცხდა კორჩნოისთან, დაზავდნენ ვაჰანიანი—ბელიავსკი, ნიკოლიჩი — სპილმენი, სპასკი—შორტი, ილესკასი — ჰიარტარსონი, კასპაროვი — ჰიუბნერი და იუსუპოვი — სეირავანი.

ექვსი შესაძლებლიდან 3,5—3,5 ქულა მოაგროვეს სეირავანმა, ჰიარტარსონმა და ჰიუბნერმა. კასპაროვმა ხუთ პარტიაში 2,5 ქულა აიღო.

შეჯიბრების დამთავრებამდე 11 ტურია დარჩენილი.

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

# ხუთი ტურის შემდეგ

**საკავშირო** ჩემპიონატის ლიდერებმა — კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა თითო ქულა დაკარგეს მეხუთე ტურში, მაგრამ სატურნირო ცხრილში პოზიციები არ დაუთმიათ. მოსკოველებმა, როგორც იცით, ფრედ (0:0) დაამთავრეს შეხვედრა „ზენიტთან“. ასეთივე ანგარიში აღინიშნა კიევის „დინამოს“ და „პამირის“ მატჩშიც. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის — დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა“ და ვილნიუსის „ჟალგირისის“ შეხვედრა — ვილნიუსელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს მასპინძლები, რომლებსაც შარშანდელ ჩემპიონატში საკუთარ მოედანზე არც ერთი მატჩი არ წაუგიათ.

ერევნის „არარატმა“ შინ მოუგო „როტორს“ — 2:1 და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მოსკოვის გუნდების — „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ შეხვედრაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:0.

„ჩერნომორეცმა“ დაამარცხა მინსკის „დინამო“ — 3:2.

ხუთი ტურის შემდეგ დაუმარცხებლად იბრძვის ოთხი გუნდი: კიევის „დინამო“, „სპარტაკი“, „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“. არც ერთი მატჩი არ მოუგია „ლოკომოტივს“, „როტორსა“ და „პამირს“.

დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ“. კ. | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 8 |
| „სპარტ.“ | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 8 |
| „არარატი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| „დნეპრი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 6-3 | 6 |
| „ჩერნომ.“ | 5 | 2 | 2 | 1 | 7-8 | 6 |
| „ტორპ.“ | 5 | 1 | 4 | 0 | 3-1 | 6 |
| „დინ“. თბ. | 5 | 1 | 4 | 0 | 6-5 | 6 |
| „დინ“. მ. | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 5 |
| „მეტალ“. | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 5 |
| „ჟალგ.“ | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 5 |
| „შახტ“. | 5 | 2 | 1 | 2 | 3-3 | 5 |
| „დინ“. მნ. | 5 | 2 | 0 | 3 | 8-9 | 4 |
| „ზენიტი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 1-6 | 3 |
| „ლოკომ.“ | 5 | 0 | 2 | 3 | 2-6 | 2 |
| „როტორი“ | 5 | 0 | 2 | 3 | 3-9 | 2 |
| „პამირი“ | 5 | 0 | 2 | 3 | 2-9 | 2 |

# ავტობუსის ავარია

1989 წლის 5 აპრილს 16 საათსა და 30 წუთზე აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე, ქალაქ ყაზახის რაიონში ავარია განიცადა (ხრამში გადაიჩეხა) ავტობუსმა „იკარუსმა“, რომელიც თბილისიდან ერევანში მიდიოდა.

როგორც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროდან გვაცნობეს, ადგილზე გარდაიცვალა 6 კაცი (აქედან 2 ქალი). დაღუპულთა შორის ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლები არ არიან.

სომხეთის სსრ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა 28 დაშავებული გადაიყვანა სომხეთის სსრ სამკურნალო დაწესებულებებში.

იმავე დღეს, დაახლოებით 18 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომელთა ინფორმაციის თანახმად, რომლებიც პატრულობდნენ საგუშაგოზე „წითელი ხიდის“ რაიონში, ქალაქ თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრალური სადგურიდან გაიგზავნა ავარიის ადგილზე სასწრაფო დახმარების ექიმთა 4 ბრიგადა, მაგრამ მათ ჩასვლამდე დაშავებულთა ევაკუაცია დამთავრებული იყო.

ზოგიერთ მსუბუქად დაშავებულს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს ყაზახის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში და შემდეგ, სახლებში გაგზავნეს.

ადგილზე ჩავიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი.

ავარიის მიზეზებს იძიებენ.

(საქინფორმი).

## ამინდი

**დღეს** დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, მაღალმთიანეთში ზვავი, ტემპერატურა — ბარში ღამით 11-16, დღისით 24-29, მთაში — ღამით 4-9, დღისით 21-26, მაღალმთიანეთში — ღამით 4-9, დღისით 12-17 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში: მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 8-13, დღისით 21-26. მთაში — ღამით 2-7, დღისით 16-21, მაღალმთიანეთში — ღამით მინუს 1 — პლუს 4, დღისით 11-16 გრადუსი.

თბილისში — მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 11-13, დღისით 24-26 გრადუსი.

რედაქტორი **ნ. ჩერქეზიშვილი.**

## ტელევიზია—პარასკევი, 7 აპრილი

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მატჩის დირიჟორი“. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.25 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.55 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 17.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ოთარ თაქთაქიშვილი“. 17.45 — „თვალსაწიერი“. სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელებისათვის. (განმეორებით). 18.25 — „მუქნიმანი“. 18.40 — უკრავს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ხალხურ საკრავთა ორკესტრი. 19.15 — განცხადებები. 19.20 — „მორალეული ბალავარი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. „304-ე ოთახი“. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „აქსელერატი“.

**მეორე პროგრამა.** 9.35 — „საფეხურები“. მხატვრულ-პუბლიცისტური პროგრამა (მ.). 11.05 — მხატვრული ფილმი „მარია მედიჩის ზარდახშა“ (ქართულ ენაზე). 12.30 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — მხატვრული ფილმი „ალიყური“ (ქართულ ენაზე).

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მხატვრულ-პუბლიცისტური პროგრამა „საფეხურები“. 11.05 — ახალი ამბები. 11.15 — კინოაფიშა. 12.15 — ეკოლოგიური პროგრამა „იცოცხლე, დედამიწავ!“. 13.15 — კალათბურთი. აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონატის ფინალი. 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — კემბრიჯის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) გუნდის კონცერტი. 17.10 — ჯანმრთელობის მსოფლიო დღე. დოკუმენტური ტელეფილმები. 17.55 — ახალი ამბები. 18.00 — „ექსპედიცია XXI საუკუნეში“. 19.00 — მეცნიერება: თეორია, ექსპერიმენტი, პრაქტიკა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — სსრ კავშირის კონსტიტუცია და ერთაშორისი ურთიერთობანი. 20.50 — კინორეჟისორ ხ. ნარლიევის ფილმები. „ბედნიერებას მოკლებული ფრაგი“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — „ეს იყო... იყო...“. 23.20 — „თვალსაზრისი“. 1.05 — მულტფილმები დიდებისათვის.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 — საოჯახო აკადემია. 10.05 და 12.05 — ინგლისური ენა. 10.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კულიკოვოს ველი“. 11.05 — კუკრინიქსების შემოქმედება. მეორე გადაცემა. 11.35 — გეოგრაფია. 12.35 — მხატვრული ტელეფილმი „სოფიო კოვალევსკაია“. III სერია. 13.45 — ა. სკრიაბინი. სონატა-ფანტაზია ფორტეპიანოსათვის. 14.00 — ტელეხიდი მოსკოვი — ლონდონი: შეხვედრა ერთი წლის შემდეგ. 15.00 — რიტმული ტანვარჯიში. 18.05 — რსფსრ სახალხო არტისტის ო. ერდელის (არფა) კონცერტი. 18.45 — დოკუმენტური ფილმი. 19.20 — ახალი ამბები. 19.30 — რიტმული ტანვარჯიში. 20.00 — ფესტივალის ეკრანი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — უსაფრთხო მოძრაობა. 21.20 — ბელორუსიის სსრ სახტელერადიო. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — მოკავშირე რესპუბლიკათა სტუდიების ფილმები. მხატვრული ტელეფილმი „ჩვენ და ჩვენი ცხენები“. 24.00 — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „აშუღის“ კონცერტი. 0.35 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07166 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] სტამბა, [illegible] ქ. 14, [illegible] ოფსეტური წესით. საგაზეთო ქორაუზი, [illegible] 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14